www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 16 ივნისი, 2012 წელი. | №3038 (133) | ფასი 50 თეთრი

აშშ იზრუნებს საქართველოს თავდაცვის გაძლიერებაზე

ჰილარი კლინტონის ვიზიტის ოფიციალური შედეგები

დათო გამისონია

ამერიკის სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის საქართველოდან გამგზავრების შემდეგ მისი ვიზიტის შედეგების შესახებ არა ერთი შეფასება გამოითქვა, თუმცა რეალური ინფორმაცია მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ბათუმში ჩატარებული აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის მუშაობის შესახებ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნეს. განცხადებაში, კომისიის მე-3 პლენარული სხდომის გარდა (რომელიც ჰილარი კლინტონმა და ნიკა გილაურმა გახსნეს), სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში შექმნილი ოთხივე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განხილულ საკითხებზეა საუბარი.

განსაკუთრებულ ინტერესს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფერო იწვევს. განცხადებაში პასუხია გაცემული, თუ როგორ განვითარდა 30 იანვარს ობამასა და საკაშვილს შორის გამართულ მოლაპარაკებაზე წამოჭრილი საკითხები. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, სახელმწიფო მდივანმა კლინტონმა და პრეზიდენტმა საკაშვილმა იმ პროგრესის შესახებ ისაუბრეს, რომელიც პრეზიდენტ ობამას დაპირების შესრულების მიმართულებით არსებობს.

ერთობლივი განცხადების თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით იგეგმება აშშ-საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერება. ამასთან, მითითებულია, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ნატო-სთან საქართველოს თავსებადობისა და ნატო-ს მოთხოვნების შესრულების კვალდაკვალ უნდა გაიზარდოს. ხოლო, საქართველომ სამხედრო და თავდაცვითი სისტემის რეფორმირება უნდა გააგრძელოს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"გადამეტებული უნდობლობა" სიების დაზუსტების კომისიისადმი

მაგდა ლეკიაშვილი

სიების დაზუსტების კომისიამ პროექტ "კარდაკარის" საველე სამუშაოების ძირითადი ნაწილი დაასრულა. ახლა სახელმწიფო უწყება პრობლემური მისამართების გადამოწმებისა და "კარდაკარის" სამუშაოების საკონტროლო ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე გადადის. აღნიშნულ კონტექსტში ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია პოლიტიკურ გაერთიანებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავს და მოუწოდებს, ამომრჩეველთა სიების ყველა პრობლემატურ საკითხზე და მათი გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე ერთად იმსჯელონ. კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე ამბობს, რომ სხვადასხვა პარტიები პარალელურ "კარდაკარს" ატარებენ, თუმცა ამომრჩეველთა საბოლოო ერთიან სიაში ჩასწორებების შეტანა მხოლოდ სახელმწიფო უწყებას შეუძლია.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

შიშნარევი დუმილის დღე ეგვიპტეში

ხათუნა გაბიევი

ეგვიპტეში საპრეზიდენტო არჩევნები დაიწყო, რომელიც ორი დღე გაგრძელდება. საყოველთაო კენჭისყრას წინ დუმილის დღე უძღოდა, როდესაც პოლიტიკურ პარტიებსა და ამა თუ იმ ძალის კანდიდატებს წინასაარჩევნო აგიტაციის შეწყვეტა ევალებათ ამომრჩევლებისთვის საბოლოო არჩევნის წყნარად გასაკეთებლად.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

"დურუჯის" ლაურეატები დღეს გამოვლინდებიან

თეატრალური პრემია "დურუჯის" დასკვნითი ეტაპი მოახლოვდა - ლაურეატების ვინაობა დღეს, 16 ივნისს გახდება ცნობილი. დაჯილდოების საზეიმო ცერემონია თბილისში, სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართება (შაბათს, 16 ივნისს, 21:00 საათზე).

საქველმოქმედო ფონდ "ცისკრის" მიერ დაწესებული პრემია "დურუჯი" წელს უკვე მეოთხედ გაიცემა. დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია ტრადიციულად წელიწადში ერთხელ, ივნისის თვეში იმართება.

პრემიაზე წარდგენილი ნომინანტების სპექტაკლებს ჟიურის 5 წევრი აფასებს. საბოლოო ფარული კენჭისყრა პრემიის ლაურეატების გამოსავლენად ჟიურის წევრებს შორის დაჯილდოების დღეს, ღონისძიებამდე რამდენიმე საათით ადრე ჩატარდება. გამარჯვებულების ვინაობა სადღესასწაულო ცერემონიაზე გაცხადდება.

გასულ წელს პრემია მხოლოდ 5 ნომინაციაში გაიცემოდა. წელს კი, უკვე არსებულებს კიდევ ერთი, საუკეთესო მხატვრის ნომინაცია დაემატა. შესაბამისად, 2012 წლის "დურუჯს" ხუთის ნაცვლად ექვსი ლაურეატი ეყოლება, ესენია:

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6368⇓		
1 ევრო	2.0583⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.5411⇓		
1 თურქული ლირა	0.8987⇓		
100 რუსული რუბლი	5.0245⇓		
თბილისი	32°C - 21°C		
ქუთაისი	30°C - 21°C		
თელავი	33°C - 17°C		
ზუგდიდი	28°C - 19°C		
ბათუმი	26°C - 20°C		
ნავთობი	2.64	+0.02	+0.61%
გაზი	2.51	+0.01	+0.56%
ოქრო	1,624.00	+4.40	+0.27%
ხორბალი	623.00	-0.50	-0.08%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

თორნიკე შენგელია: "ვეცდები, ჩემი ამრჩევი გუნდისგან კონტრაქტი დავიმსახურო"

იტალიაში დასრულდა ტრევიზოს კემპი, რომელშიც თავი გამოიჩინა საქართველოს ნაკრების ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ. ტრევიზოში ევროპის კონტინენტის ყველაზე პრესპექტიულმა ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი. სწორედ ეს კემპი იძლევა იმის საშუალებას, რომ NBA-ს წარმომადგენლებს შენი შესაძლებლობები დაანახო. სულ მალე გაიმართება NBA-ს დრაფტი, რომელშიც თორნიკე შენგელიაც მიიღებს მონაწილეობას.

ტრევიზოში, შენგელიას გარდა, საქართველოს ნაკრების თავკაცი იგორ კოკოშკოვიც იმყოფებოდა. კემპში კიდევ ერთი ქართველი კალათბურთელი - ნიკა მეტრეველი მონაწილეობდა.

კემპის დასრულების შემდეგ თორნიკე ბელგიაში დაბრუნდა და ახლა აშშ-ში გასამგზავრებლად ემზადება.

ტრევიზოს კემპის თაობაზე თორნიკემ ინტერვიუ მისცა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდს.

- სანამ შენი გამოსვლის შესახებ გკითხავდე, გვიამბე იმ გარემოზე, რომელიც ტრევიზოში სუფევდა...

- გარემო შესანიშნავი იყო. ტრევიზოში თავი მოიყარა ევროპის თითქმის ყველა პერსპექტიულმა ახალგაზრდა კალათბურთელმა. სპეციალისტებზე, სკაუტებსა და დამკვირვებლებზე ხომ საუბარი ზედმეტია. იქ იყო NBA-ს 30-ვე გუნდის წარმომადგენელი.

გაგრძელება
მე-<None> გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოგს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

"გლობალ TV"-ის ამერიკელმა მეწილემ საქართველო დატოვა

კომპანია "გლობალ TV"-ის ამერიკელმა მეწილემ ალექსანდრე რონჟესმა ხუთსაათიანი დაკითხვის შემდეგ თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ავტომანქანით ისე დატოვა, რომ ჟურნალისტებთან კომენტარი არ გაუკეთებია. მოგვიანებით კი ცნობილი გახდა, რომ გამთენიისას იგი მოსკოვში გაემგზავრა, საიდანაც აშშ-ში უნდა გადაფრენილიყო.

ალექსანდრე რონჟესი ორი დღის წინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა მოწმის სტატუსით დაკითხა. ამ ფაქტთან დაკავშირებით თავიდან ურთიერთ გამომრიცხავი ინფორმაცია გავრცელდა. თუმცა, მოგვიანებით ფინანსთა სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში, ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახურიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით.

"მიღებული ინფორმაციის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქემ ალექსანდრე რონჟესმა 2004 წლის ოქტომბერში 180 000 ლარად შეიძინა თბილისში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც 2012 წლის 8 ივნისს გაასხვისა შპს "ლიზინგი 21"-ზე 3 100 000 ლარად და მიღებული თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაღდი ფულის სახით გაიტანა საბანკო ანგარიშიდან, რაც საქართველოს კანონმდებლობითა და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით საეჭვო ოპერაციას წარმოადგენს. ვინაიდან შპს საქართველოს საზღვრის გადაკვეთისას არ მოახდინა თანხის დეკლარირება, მიზანშეწონილია ალექსანდრე რონჟესი მოწმის სახით დაიკითხოს," - აღნიშნული იყო ოფიციალურ განცხადებაში.

თუმცა, დაკითხვის შემდეგ "გლობალ TV"-ის ამერიკელი მეწარმის ადვოკატმა ლილი გელაშვილმა განაცხადა, რომ ალექსანდრე რონჟეს კითხვები საქართველოში მის მიერ განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებით დაუსვეს.

"რონჟესი მოწმის სტატუსით დაიკითხა საქმის ფარგლებში, რომელიც აღძრულია უკანონო შემოსავლის შესაძლო ლეგალიზაციის ფაქტზე. შეკითხვები შეეხებოდა მხოლოდ რონჟესის მიერ საქართველოში განხორციელებულ ფინანსურ ოპერაციებს. არავითარ ფულის გათეთრებაზე საუბარი არ ყოფილა. გამოძიების დაინტერესების საგანი იყო უძრავი ქონება, რომლის რეალიზაციაც განახორციელა ალექსანდრე რონჟესმა," - აღნიშნა ლილი გელაშვილმა.

კიდევ ერთი ადვოკატის არჩილ კბილაშვილის თქმით კი, დაკითხვა მშვიდ ვითარებაში წარიმართა და დიდხანს იმ მიზეზით გაგრძელდა, რომ გამომძიებლებსა და მოწმის სტატუსით დაკავებულ ალექსანდრე რონჟესს შორის კომუნიკაცია თარჯიმნის მეშვეობით ხდებოდა.

კბილაშვილის მტკიცებით, გამოძიებას გლობალ TV"-ის მეწილესთვის დიდი რაოდენობის თანხის ანგარიშიდან მოხსნასთან დაკავშირებით კითხვა არ დაუსვამს.

ადვოკატების განცხადებით, სამართალდამცველებმა რონჟესს განუცხადეს, რომ შეეძლო ქვეყანა დაეტოვებინა.

"გამოძიებას მასთან კითხვები აღარ ჰქონდა, საზღვრის გადაკვეთა კი არც აუკრძალავს, ამიტომაც გვიან ღამით მოსკოვში გაფრინდა," - განაცხადა გელაშვილმა, რომლისთვისაც ამ დრომდე უცნობია, უახლოეს მომავალში, კიდევ გახდება თუ არა სჭირო "გლობალ TV"-ის უცხოელი მეწარმის დაკითხვა.

ბიძინა ივანიშვილის ორი საქმე

თბილისის სააპელაციო სასამართლო გუშინ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებულ ორ საქმეს განიხილავდა. ერთ შემთხვევაში, ადვოკატები პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებდნენ, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილს, როგორც საფრანგეთის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა. მეორე სარჩელით კი, "ქართული ოცნების" ლიდერის ადვოკატები, ასევე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდნენ, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილს 126 მილიონ ლარზე მეტი ჯარიმის გადახდა დაეკისრა.

სასამართლო პროცესს ესწრებოდნენ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ივანიშვილის ამერიკელი ადვოკატი ბენჟამენ ჩიუ, ასევე ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი.

სააპელაციო სასამართლომ ბიძინა ივანიშვილის ადვოკატების სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა. მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, "გლობალ ტვ"-ის მიერ მოსახლეობისთვის სატელიტური ანტენების დარიგების გამო დაკისრებული 126 მილიონ 220 ათას 190-ლარიანი ჯარიმა, 63 110 095 ლარამდე შემცირდა, რითაც ბიძინა ივანიშვილის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეებმა ბიძინა ივანიშვილს საქმის განხილვის დროს ჩატარებული ექსპერტიზის ხარჯებიც დააკისრეს, რომელიც 2 000 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება 239 ავტომობილის შეღავათიან ფასებში "ქართული ოცნებისთვის" მიქირავების ბრალდების საფუძველზე დაკისრებულ 22 მილიონ 429 ათას 941 ლარს. სააპელაციო სასამართლომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ კონტროლის პალატის ოქმის საფუძველზე გამოტანილი გადაწყვეტილება ნაწილობრივ გააუქმა და ბიძინა ივანიშვილს ჯარიმის თანხად 11 214 970 ლარი და 65 თეთრი დააკისრა.

სააპელაციო სასამართლოს ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით კიდევ ერთი საქმე უნდა განეხილა, თუმცა, სასამართლო სხდომა უკვე მეორედ გადაიდო. კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერი სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლის თანახმადაც, ბიძინა ივანიშვილის, როგორც საფრანგეთის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა.

ივანიშვილის ადვოკატების თქმით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება საფუძველს მოკლებულია. კოალიციის ლიდერის ერთ - ერთი ადვოკატის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, პირველი ინსტაციის სასამართლოს გადაწყვეტილება ეყრდნობოდა ერთადერთ მტკიცებულებას, თითქოს ბიძინა ივანიშვილმა 2004 წელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. ქუცნაშვილის განმარტებით, ივანიშვილის საფრანგეთის მოქალაქეობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ივანიშვილი იმ დროისათვის საფრანგეთის მოქალაქე იყო.

"საქართველოს პრეზიდენტმა ჰილარი კლინტონსაც გადასცა ქართული პასპორტი, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას რომ კლინტონი საქართველოს მოქალაქეა," - განაცხადა ქუცნაშვილმა.

ივანიშვილის ადვოკატები ასევე განმარტავენ, რომ ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა საგამონაკლისო წესით ჰქონდა მინიჭებული. ეს შემთხვევა კი, არ კრძალავს პარალელურად სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადეს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ივანიშვილზე გავრცელდა კონსტიტუციის 12-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მოქალაქეს ეკრძალება პარალელურად სხვა ქვეყნის მოქალაქეობა.

"უდავოა, რომ ბიძინა ივანიშვილიმა საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობაც, ეს კი კანონით დაშვებული არ არის," - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელმა თინათინ სირაძემ.

ავსტრიული კომპანია - "გებრუდერ ვაისი" (GEBRUDER WEISS") ქართულ ბაზარზეა

საქართველოს ბაზარზე ოპერირება კიდევ ერთმა უცხოურმა კომპანია - "Gebruder Weiss"-მა დაიწყო. ხუთას წლიანი ისტორიის მქონე ავსტრიული კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს - სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ტვირთების გადაზიდვა და ლოგისტიკა წარმოადგენს.

ძირითადი საქმიანობის გარდა, კომპანია და "Gebruder Weiss Holding AG"-ის ქოლგის ქვეშ გაერთიანებული ფილიალები მომხმარებელს მრავალფეროვან სერვისებს სთავაზობენ - საჰაერო და საზღვაო გადაზიდვები, დისტრიბუცია და სხვადასხვა სახის ლოგისტიკური მომსახურება, რითაც ისინი უფრო სწრაფად და მოქნილად აკმაყოფილებენ მომხმარებლის საჭიროებებს. "გებრუდერ ვაისის" საკუთრებაშია 158 ფილიალი - ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, უნგრეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, ხორვატიაში, სერბეთში, რუმინეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, იაპონიაში, ჩინეთში და ა.შ.

"გებრუდერ ვაისი" ოჯახური კომპანიის სტატუსს უკვე ხუთი საუკუნეა ინარჩუნებს. კომპანიის ბრუნვა მილიარდ ევროს აჭარბებს და ევროპის წამყვან სატრანსპორტო და ლოგისტიკურ კომპანიებში ლიდერის პოზიციებზეა.

"გებრუდერ ვაისის" გენერალური დირექტორის ალექსანდრე ხარლამოვის თქმით, რამდენიმე კვირაში საქართველოში ლოგისტიკური ტერმინალის მშენებლობა დაიწყება, რაც ქვეყანას სტრატეგიული ცენტრის მნიშვნელობას ანიჭებს. თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ლოგისტიკური ბაზით აღჭურვილი ცენტრი სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებს მოემსახურება.

"ლოგისტიკისა და ტრანსპორტირების მიმართულებებით, ავსტრიული კომპანია "გებრუდერ ვაისი" ინვესტიციას ახდენს და რეგიონული მნიშვნელობის ლოგისტიკურ და სასაწყობე ცენტრს ხსნის, რომელიც სამხრეთ კავკასიაში პირველია. ლოგისტიკური ინფრასტრუქტურების მასშტაბები, მისი ფუნქცია , ცენტრალური აზიის და ყაზახეთის მიმართულებითაც განვითარებას ითვალისწინებს. ეს იქნება ჰაბი, რომლებიც ამ ქვეყნებს მოემსახურება. კომპანიის სლოგანია TRUST COMES BEFORE BUSINESS" (ნდობა პირველ რიგში - შემდეგ ბიზნესი) - ენდობიან ჩვენს ქვეყანას, ჩვენს რეფორმებს და ჩვენს მომავალს." - აღნიშნა ხარლამოვმა.

მილიარდიანი კომპანიის ძირითად ღირებულებებს შორის მდგრადობა, დამოუკიდებლობა და მომსახურების მუდმივი გაუმჯობესება შედის. საბოლოო შედეგი ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროში მოღვაწე საუკეთესო კომპანიის სტატუსის შენარჩუნებაა.

Gebruder Weiss -ის დაფუძნებას საქართველოში, კომპანიის აღმასრულებელი დირექტორის - ვოლფრამ სინგერ ვაისის გარდა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე - ირაკლი მატკავა და დიპლომატიური კორპუსისა და ბიზნეს სექტორის სხვა წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

საუკუნოვანი ისტორიის მქონე კომპანიის პრეზენტაცია საქართველოში, ურთიერთ შეთანხმების გაფორმებით დასრულდა, რაც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილისა და ტომას მოზერის მიერ მხარდაჭერისა და თანამშრომლობის" ოქმზე ხელმოწერით დადასტურდა.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე კომპანიის ხელმძღვანელებს ბიზნესის განვითარებაში ხელშწყობას და თანამშრომლობას შეპირდა:

"ასეთი მნიშვნელობისა და ისტორიის მქონე კომპანიის შემოსვლა ქართულ ბაზარზე ერთგვარი რეკომენდაციაა სხვა კომპანიებისა და ფირმებისთვის, რომ ეს არის სანდო ქვეყანა, სადაც ბიზნესის წარმოება ნამდვილად ღირს. ინვესტიციების ზრდის მაღალი ტემპი აუცილებლად მიგვიყვანს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებამდე, ამიტომ ეს საკითხი, ბიზნეს სექტორის გარდა, სახელმწიფოსთვისაც მნიშვნელოვანია" .

"გებრუდერ ვაისმა" საქართველოს ბაზრზე საქმიანობა 2012 წლის მარტში "თეგეთა მოტორსთან" თანაშრომლობით დაიწყო.

მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებისა და სასოფლო და სამრეწველო ტექნიკის ტრანსპორტირებას, "თეგეთა მოტორსი", "გებრუდერ ვაისის" კუთვნილებაში მყოფი ცამეტი სატვირთო მანქანის საშუალებით ახორციელებს.

კომპანიის რეგინალური მენეჯერის ტომას მოზერის თქმით, ლოგისტიკური ტერმინალის ამოქმედება, ისევე როგორც, ზოგოგად ქართულ ბაზარზე მოღვაწეობა, ავსტრიულ კომპანიას ისეთ სტრატეგიულ ქვეყნებში გაიყვანს , როგორებიცაა - თურქეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, სამხრეთ რუსეთი, მოლდავეთი, სასომხეთი, ყაზახეთი, თურქმენეთი და ა.შ.

მსოფლიოში არსებული ფილიალების მასშტაბით, "გებრუდერ ვაისში" დასაქმებულების რაოდენობა 5000-ს აღწევს. კომპანიის აღმსრულებელი დირექტორის თქმით, ლოგისტიკური ტერმინალის დაფუძნება საქართველოში და მის მეზობელ სახელმწიფოებში კიდევ უფრო მეტ სამუშაო ადგილს შექმნის.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რექტორის მოადგილის კლინიკური სწავლების დარგში, პროფესორ

მერაბ ხიზანიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი არქიტექტორ-რესტავრატორი ივანე გრემელაშვილი, ავტორი არაერთი მნიშვნელოვანი პროექტისა, მათ შორისაა გელათის აკადემიის კონსერვაცია, გელათის სამონასტრო კომპლექსის აღმოსავლეთი კარიბჭის რესტავრაცია, ბაგრატის ტაძრის სრული რეაბილიტაციის პროექტი და მრავალი სხვა. უკანასკნელ წლებში იყო თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების შემსწავლელი ექსპედიციის ხელმძღვანელი, ავტორი ხანძთის ეკლესიის გამაგრების პროექტისა. მისი თაოსნობით ჩატარდა ოშკის ტაძრის ფიქსაცია და ლაზერული სკანირება. აგრეთვე ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, სისტემატურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

აშშ იზრუნებს საქართველოს თავდაცვის გაძლიერებაზე

პირველი გვერდიდან

განცხადებაში დაკონკრეტებულია თანამშრომლობის სფეროები. **"ის გზები განვიხილეთ, რომლითაც დახმარებას გავუწევთ საქართველოს, რათა ქვეყანამ განავითაროს საჰაერო სათვალთვალო და საჰაერო თავდაცვისა და სანაპირო სათვალთვალო შესაძლებლობები, თავდაცვითი საბრძოლო საინჟინრო შესაძლებლობები, აგრეთვე გააუმჯობესოს სერჟანტების მეწინავე და საწვრთნელი უნარჩვევები, ბრიგადის შტაბის მართვისა და კონტროლის შესაძლებლობები და მოემზადოს სატრანსპორტო შვეულმფრენთა ფლოტის გასაახლებლად. მომდევნო თვეებში, ანალიზისა და შეფასების ეტაპიდან იმპლემენტაციის ეტაპზე გადასვლასთან ერთად, აშშ განიხილავს საქართველოს მოთხოვნებს, შეისყიდოს თავდაცვითი შეიარაღება და მომსახურება აღნიშნული წვრთნისა და დახმარების შესაბამისად,"** - ნათქვამის განცხადებაში.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი ალექსანდრე რონდელი "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ პირველ ეტაპზე აშშ საქართველოს სარადარო სისტემას მიაწვდის. **"ძნელი სავარაუდოა, ამერიკა თავდაცვის იარაღს როდის გადასცემს. ეს სხვადასხვა რეგიონულ საკითხებზეა დამოკიდებული,"** - აღნიშნავს რონდელი. მას მიაჩნია, რომ ვაშინგტონში მიღებული გადაწყვეტილების მიზეზი რუსეთის ბოლოდროინდელი ქმედებებია. რონდელის თქმით, **"შეერთებულ შტატების ხელისუფლებას იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი დემოკრატიისკენ წავიდოდა, თუმცა მისი მოლოდინი ვერ გამართლდა."**

საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ნიკა ჩიტაძემ "24 საათს" უთხრა, რომ თანამშრომლობის გაღრმავება ორივე ქვეყნის ინტერესებშია. ამიტომ, ქარტიის ფარგლებში ოთხი სამუშაო ჯგუფი მოქმედებს - მათ შორის, თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართულებით. როგორც ნიკა ჩიტაძე ამბობს, ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია, საქართველოს თავდაცვისუნარიანობა გაძლიერდეს და უსაფრთხოების სფეროში რეფორმები გაგრძელდეს. **"თანამშრომლობა აუცილებლად გაღრმავდება. მოსალოდნელია, რომ რუსეთი ამერიკასთან პოლიტიკურ ვაჭრობას დაიწყებს, მაგრამ ამერიკის სტრატეგიული ინტერესი კავკასიის რეგიონში გაძლიერებაა და ამიტომ აშშ-საქართველოს თანამშრომლობას ვერაფერი შეაფერხებს,"** - აღნიშნავს ნიკა ჩიტაძე და დასძენს, რომ **"ჰილარი კლინტონის ვიზიტი მისასალმებელია და საბოლოოდ, საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე დადებითად აისახება. ამასთან, აშშ-ს სურს, რომ საქართველო, როგორც მისი პარტნიორი პოსტსაბჭოთა სივრცეში, უფრო დემოკრატიული იყოს."**

სამი სამუშაო ჯგუფი

ერთობლივ განცხადებაში, თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის გარდა, დანარჩენი სამი ჯგუფის მუშაობის შედეგებიც არის შეჯამებული.

დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ღია და კონკურენტული საარჩევნო გარემოს მნიშვნელობა, მათ შორის - 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე პერიოდში თანაბარი სამოქმედო ველის, ღია დებატების და ინფორმაციისა და შეხედულებათა ფართო სპექტრზე მოქალაქეთა წვდომის მნიშვნელობა. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, აშშ-მ მკაფიოდ განაცხადა, რომ მომავალი არჩევნები საქართველოს საშუალებას აძლევს, ახალი პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევით დემოკრატიული მიღწევების კონსოლიდირება მოახდინოს და კიდევ უფრო განამტკიცოს დემოკრატიული კულტურა და მოქალაქეთა ნდობა საჯარო ინსტიტუტების მიმართ, რაც ქვეყანას კიდევ უფრო დააახლოებს ევროატლანტიკური მისწრაფებების განხორციელებასთან.

სამუშაო ჯგუფი საქართველოში კანონის უზენაესობის კიდევ უფრო განმტკიცების მიზნით სისხლის სამართლის რეფორმის, დამოუკიდებელი სასამართლოსა და ადმინისტრაციული კოდექსის რეფორმის მნიშვნელობაზე შეთანხმდა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ასევე აღნიშნავს, რომ უმცირესობათა უფლებების დაცვაში საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი, მათ შორის - სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, გამოხატავს საქართველოს უწყვეტ ძალისხმევას უმცირესობათა ინტეგრირებისთვის.

რაც შეეხება ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ვაჭრობის სამუშაო ჯგუფში მიღწეულ შედეგებს, განცხადების თანახმად, ორმხრივი ვაჭრობის გასაღრმავებლად განხილული სხვადასხვა საშუალებები, მათ შორის - თავისუფალი სავაჭრო შეთანხმების შესაძლო გაფორმება, ორივე ქვეყნისთვის მომგებიანია.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრაზე საქართველოში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და მეტი ინვესტიციების მოზიდვის გზებიც განხილეს. **"შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა შრომითი უფლებების პატივისცემის და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის აუცილებლობაზე. ამასთან, "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" (MCC) საქართველოს მე-2 კომპაქტის დაგეგმვის ეტაპზე გადასვლის განზრახვა გამოთქვა,"** - ნათქვამია განცხადებაში.

ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში თუნდაც მილენიუმის პროგრამის გაგრძელების საკითხზე მსჯელობა საბოლოოდ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას ისახავს მიზნად.

ხალხთაშორისი სამუშაო ჯგუფის მონაწილეებმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებთან დანარჩენი საქართველოს კავშირების ხელშეწყობის გზები განიხილეს. **"შეერთებული შტატები სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტს ვარგისად ცნობს შეერთებულ შტატებში სამოგზაუროდ. აღნიშნულ გადაწყვეტილებას აშშ შერიგების პროცესის წამახალისებელ ნაბიჯად მიიჩნევს, რაც ხელს შეუწყობს მიმოსვლის თავისუფლებას, შეამცირებს დაძაბულობას და საქართველოს სუვერენიტეტის შეუბღალავად ადამიანებს შორის კავშირ-ურთიერთობებს ჩამოაყალიბებს. მალე მთელი მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ს საელჩოები და საკონსულოები დაიწყებენ სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტების მიღებას ამ ორივე რეგიონში მცხოვრები იმ პირებისთვის, რომლებსაც მათი გამოყენების სურვილი ექნებათ,"** - მითითებულია განცხადებაში.

"გადამეტებული უნდობლობა" სიების დაზუსტების კომისიისადმი

პირველი გვერდიდან

სწორედ ამიტომ, კაციტაძე გაერთიანებებს სთავაზობს, აღმოჩენილი უზუსტობები კომისიას 15 ივლისამდე მიაწოდონ. გუშინ მამუკა კაციტაძე რამდენიმე პარტიის წარმომადგენელს შეხვდა. მოლაპარაკებას "სახალხო კრების", "დემოკრატიული მოძრაობის", "თავისუფალი საქართველოსა" და არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი თაობა- დემოკრატიული საქართველოს" წევრები ესწრებოდნენ. მხარეები შეთანხმდნენ, რომ მათ მიერ სიების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია კომისიას აუცილებლად მიაწოდონ. როგორც "თავისუფალი საქართველოს" პოლიტიკური მდივანი თენგიზ ომანაძე ამბობს, კომისიის მუშაობას დიდად არ ენდობიან, ვინაიდან ისეა დაკომპლექტებული, რომ ოპოზიცია სრულად არ არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ, პარტიას კითხვის ნიშნები "კარდაკარის" შედეგების მიმართაც აქვს. მიუხედავად ამისა, კახა კუკავას პოლიტიკური გუნდი პროცესებისთვის გვერდის ავლას არ აპირებს და კომისიასთან თანამშრომლობას თანხმდება.

შეხვედრას არ ესწრებოდნენ კოალიცია "ქართული ოცნების" წარმომადგენლები, თუმცა როგორც მისმა წევრმა დავით ბერძენიშვილმა გუშინ განაცხადა, მისი გაერთიანება უნდობლობას უცხადებს სახელმწიფო კომისიის მუშაობას. ისინი ივნისის ბოლოს თავად აპირებენ "კარდაკარის" მეთოდით სიების დაზუსტებას.

მამუკა კაციტაძე ბერძენიშვილის განცხადებას პასუხობს და ამბობს, რომ ყველას აქვს თავისუფალი ნება და იმის გადაწყვეტის უფლება, თუ რა დამოკიდებულება ექნება კომისიასთან. მისი თქმით, ნებისმიერ პარტიას შეუძლია"კარდაკარი" ჩაატაროს და მიღებული ინფორმაცია საკუთარი კოალიციის საქმიანობისთვის გამოიყენოს. მაგრამ, მუშაობის შედეგები ამომრჩეველთა ერთიან სიაზე ვერ აისახება, თუ მონაცემები სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიას არ გადაეგზავნება.

"მე ცოტა სხვა ინფორმაცია მაქვს იგივე კოალიცია "ქართული ოცნებიდან". ისინი ჩვენ მიმართ მაინცდამაინც უნდობლობით არ არიან აღჭურვილები. უფრო მეტიც, ინფორმაციის მოწოდებას აპირებენ კომისიისთვის. კომისიაში მოგვიტანეს "ქართული ოცნების" ერთ-ერთი ოლქის პასპორტი (დოკუმენტი, სადაც პარტიები აღრიცხავენ საკუთარ მხარდამჭერებს უბნების მიხედვით), სადაც გარდა იმისა, რომ კონკრეტული კოალიცია თავის მხარდამჭერებს იკვლევს, ამავდროულად აკინძულია მოქალაქეების სხვადასხვა განცხადებები გარდაცვალებისა და საზღვარგარეთ ყოფნის შესახებ. საინტერესო ის არის, რომ ორივე განცხადების ადრესატი მე ვარ. განცხადება მოდის ჩემი მისამართით "ქართული ოცნების" პასპორტით და "ოცნება" არ მენდობა. სწორედ ამიტომ, მგონია, "არნდობითი" დამოკიდებულება ცოტა გადაჭარბებულია," - ამბობს მამუკა კაციტაძე. კაციტაძე დასძენს, რომ თუკი "ქართული ოცნების" მეშვეობით მოქალაქეები კომისიას სიებიდან გარდაცვლილთა ამოღების ან სხვა ნებისმიერ საკითხზე მიმართავენ, სახელმწიფო უწყება ამ მიმართვას საბოლოო შედეგში ასახავს. მამაკა კაციტაძე მიიჩნევს, რომ "ოცნების" განცხადებები პოლიტიკური პოზაა, ვიდრე მათი რეალური განწყობა კომისიისადმი.

ნაფიც მსაჯულთა ჟიურის დამამძიმებელი რეკომენდაცია

თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სხდომაზე განზრახ მკვლელობაში ბრალდებული დავით რუსიშვილის სასჯელის დანიშვნის პროცესში მონაწილეობა ნაფიცმა მსაჯულებმა მიიღეს და მოსამართლეს განაჩენის დამძიმების რეკომენდაცია მისცეს.

საქმე ისაა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გუშინწინ დაასრულა საქმის მოსმენა. თორმეტმა ნაფიცმა მსაჯულმა გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოიტანა და ბრალდებული დავით რუსიშვილი დამნაშავედ ცნო 2011 წლის 17 ოქტომბერს, ზურაბ ტარყაშვილის დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში. გამამტყუნებელი ვერდიქტი მიღებული იქნა 9 ხმით, 3-ის წინააღმდეგ.

ნაფიცმა მსაჯულებმა ბრალდებული დავით რუსიშვილი საბრძოლო მასალის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებაში გაამართლეს.

გუშინ ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობდნენ სასჯელის დანიშვნის სხდომაში, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე ნაფიცმა მსაჯულებმა სასამართლოს სასჯელის დამძიმების რეკომენდაციით მიმართეს.

სასამართლომ ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტისა და მათი რეკომენდაციის გათვალისწინებით გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი და დავით რუსიშვილს საბოლოოდ, დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობით 21 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

განაჩენი შესაძლებელია ერთჯერადად, საკასაციო წესით გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში, მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი საფუძვლების არსებობისას.

პრეზიდენტი გორის რაიონში იმყოფებოდა

საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ გორის რაიონის სოფელ შინდისში საცდელი ნაკვეთი დაათვალიერა. მიხეილ სააკაშვილი აგროტურში მონაწილე ფერმერებთან ერთად გაეცნო მიმდინარე ტექნოლოგიურ და სამუშაო პროცესებს და ტურის დასრულების შემდეგ, მათ აგარის ტექნიკური მომსახურების ცენტრის დათვალიერება შესთავაზა.

ეს გადაწყვეტილება პრეზიდენტმა სპონტანურად მიიღო და სერვისცენტრში ავტობუსით მათთან ერთად გაემგზავრა. მომსახურების ცენტრის დათვალიერებას ქვეყნის პირველი პირი გზად შემხვედრ ადგილობრივ მოსახლეობასაც სთავაზობდა. მიხეილ სააკაშვილი ავტობუსით მგზავრობისას იმ პრობლემებითაც დაინტერესდა, რომელიც სოფლის მცხოვრებთათვის აქტუალურია. ამ პრობლემების მოგვარება ქვეყნის პირველმა პირმა შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელებს დაავალა.

საცდელი ნაკვეთების დათვალიერებისას პრეზიდენტი დაინტერესდა, რამდენად კეთდება ეს ყველაფერი ხალხისთვის. "ეს საჩვენებელია თუ ხალხამდე მივა? საჩვენებელი და ცირკი არაფერში გვჭირდება, ყველაფერი უნდა მივიდეს ხალხამდე. ტელევიზორში საჩვენებლად თუ ვაკეთებთ, დავიხუროთ ქუდი და სახლში წავიდეთ. თუ ეს უახლოეს კვირებში მივა ადამიანებამდე, ამას აქვს აზრი," - აღნიშნა სააკაშვილმა.

მისივე განცხადებით, მას შემდეგ, რაც ცხინვალის რეგიონის ოკუპაცია მოხდა, გორის რაიონში წყლის პრობლემაა. "ახლა აქ წყლის უკმარისობაა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გველეშაპები მოგვაჯდნენ ლიახვში, წყლის უკმარისობა არის ყველგან. ამიტომ, ჩვენ წყლის წვეთოვანს დავნერგავთ ყველგან. ყველა სოფელში უნდა შევიდეს წვეთოვანი," - განაცხადა სააკაშვილმა.

გიგი უგულავა ავლაბარში მოსახლეობას შეხვდა

თბილისის მერი გიგი უგულავა ავლაბრის მოსახლეობას შეხვდა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, ავლაბარში, ცისკრის ქუჩაზე, 650-მეტრიანი წყლის სისტემა კაპიტალურად იცვლება. რეაბილიტაცია უტარდება ქუჩის, როგორც მაგისტრალურ ქსელებსა და მის განშტოებებს, ასევე საკანალიზაციო ქსელსაც. ქუჩაზე მონტაჟდება ახალი ურდულები, ეწყობა წყალსადენისა და საკანალიზაციო ჭები. მერიის ინფორმაციით, წყლის სისტემების რეაბილიტაცის დასრულების შემდეგ შემცირდება დანაკარგები და ავარიული დაზიანებების რაოდენობა, რაც დედაქალაქის უწყვეტ წყალმომარაგებას შეუწყობს ხელს.

ძველი თბილისის რაიონში მიმდინარე სამუშაოები გუშინ თბილისის მერმა გიგი უგულავამ და კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" გენერალურმა დირექტორმა იორგ მათისმა ადგილზე დაათვალიერეს. იქვე თბილისის მერი ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, მათი პრობლემები მოისმინა, ქალაქში მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებზე ისაუბრა.

როგორც მერიაში აცხადებენ, მოსახლეობისთვის უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, თბილისში წყლის სისტემების რეაბილიტაცია მიმდინარეობს, რაც თბილისელების 24-საათიან, შეუფერხებელ წყალმომარაგებას უზრუნველყოფს. წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქის ყველა უბანში, 150 ქუჩაზე მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში, კომპანია "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა" თბილისის სხვადასხვა რაიონებში არსებული ამორტიზებული წყალსადენისა და წყალარინების ქსელები ახლი სისტემით შეცვალა.

"ქართული ოცნება" აჭარაში ივანიშვილის ვიზიტს აჭამებს

"ქართული ოცნების" აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ავთანდილ ბერიძემ აჭარის მაღალმთიანეთში ბიძინა ივანიშვილის ვიზიტი შეაჯამა.

როგორც ბერიძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა, "ქართული ოცნების" ლიდერმა მოსახლეობისგან პრობლემები მოისმინა და ადგილობრივებს ამ პრობლემების გადაწყვეტის გეგმა გააცნო.

"ქართული ოცნების" ბათუმის შტაბის შემდეგ შეხვედრები გამართა ხულოს რაიონის სოფლების, დიოკნისისა და მანიაკეთის მოსახლეობასთან, აქვე მოინახულა სოფელში არსებული მეჩეთი. შემდეგ, სხალთის ხეობას ეწვია. მოსახლეობის პრობლემების გაცნობის შემდეგ მილოცა მე-12 საუკუნის სხალთის ღვთისმშობლის მონასტერი.

"შეხვედრების დროს იყო ჯგუფები, რომლებიც ცდლობდნენ, წყნარ საუბარსა და სჯა-ბაასში შეეტანათ დისონანსი შეძახილებით - მიშა! მიშა! და ხმამაღალი საუბრებით, რაზეც ბატონმა ბიძინამ უპასუხა, რომ ახლოს მოსულიყვნენ, მშვიდად ესაუბრათ. როდესაც ეს ადამიანები ახლოს მოდიოდნენ, ბატონი ბიძინა მათ შეკითხვებს პასუხობდა და ხმაურის მცდელობა აღარ იყო. "მიშა, მიშას" იძახდა ქედის სპორტსკოლის ხელმძღვანელი," - აღნიშნა ბერიძემ.

საგამოცდო ტესტები უკვე თბილისშია

ერთიანი ეროვნული გამოცდების, მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდისა და საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტები უკვე თბილისშია.

როგორც "ინტერპრესნიუსი" განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება, ტესტები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან პოლიციის შენობებში გადაიტანეს.

"ტესტები თბილისისა და რეგიონების მთავარ სამმართველოებში განთავსდება, რითაც მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი მათი დაცვა და უსაფრთხოება," - აცხადებენ სამინისტროში.

მათივე ცნობით, 2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ტესტები კონფიდენციალური დოკუმენტაციის ბეჭდვაში აღიარებულმა ბრიტანულმა კომპანია "სტივენ ოსტინმა" დაბეჭდა.

რუსეთი სამხედრო ვერტმფრენებით სირიის მომარაგებას კვლავ უარყოფს

რუსეთის დიპლომატიური უწყება კვლავ აცხადებს, რომ მოსკოვი სირიას სამხედრო ვერტმფრენებით არ ამარაგებს. დიპლომატების განცხადებით, რუსეთმა ის ვერტმფრენები შეაკეთა, რომელიც სირიას წლების წინ მიჰყიდეს. "როგორც უკვე განვაცხადეთ, რუსეთს სირიისათვის ახალი ვერტმფრენები არ მიუყიდია. სირიასთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა ამ ქვეყნისათვის მხოლოდ თავდაცვითი აღჭურვილობის გადაცემით შემოიფარგლება. რაც შეეხება ვერტმფრენებს, ცოტა ხნის წინ იმ ტექნიკის გეგმიური რემონტი განხორციელდა, რომელიც ქვეყანას წლების წინ მივაწოდეთ." - საუბარია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში. მოსკოვში სირიის ელჩმაც ცოტა ხნის წინ დაადასტურა, რომ რუსეთი სირიას მხოლოდ თავდაცვითი ხასიათის შეიარაღებას აწვდის და საერთაშორისო წესებს არ არღვევს.

რუსეთის მიერ სამხედრო ვერტმფრენებით სირიის მომარაგების შესახებ განცხადება ცოტა ხნის წინ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გააკეთა, რომლის თქმითაც: "ეს კონფლიქტის ესკალაციას შეუწყობს ხელს." მსოფლიო საზოგადოება აქტიურად ცდილობს, დაიყოლიოს რუსეთი, რათა მან სირიის მიმართ მკაცრი პოზიცია დაიკავოს. რუსეთის პირველი დიპლომატი სერგეი ლავროვი კი განუწყვეტლივ იმეორებს, რომ ის კონფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტას უჭერს მხარს და ძალის გამოყენებას არ დათანხმდება. ქვეყანაში მყოფი გაეროს დამკვირვებლები ადასტურებენ, რომ ქვეყანაში, მიუხედავად კოფი ანანის სამშვიდობო გეგმისა, ძალადობა არ ცხრება.

იემენის არმიამ "ალ კაიდას" მესამე თავშესაფარი აიღო

იემენის არმიამ, "ალ კაიდას" შეიარაღებული მებრძოლების გამოძევების შემდეგ, ქვეყნის სამხრეთით მდებარე ქალაქ შუკრაზე კონტროლი დაამყარა. ეს არის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საპორტო ქალაქი. ადგილობრივი მაღალჩინოსნის ინფორმაციით, შეტაკების შედეგად მოკლულია, სულ მცირე, 17 შეიარაღებული მებრძოლი. შუკრა აბიანის პროვინციაში "ალ კაიდას" უმსხვილეს თავშესაფრად მიიჩნეოდა, რომელსაც სამთავრობო ძალები იაარისა და ზინჯიბარის შემდეგ დაეუფლნენ. ქვეყნის სამხრეთ რაიონებში "ალ კაიდას" მებრძოლებსა და იემენის სამთავრობო ძალებს შორის შეტაკებები 2011 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როდესაც ასობით ექსტრემისტმა აბიანის პროვინციის რამდენიმე ქალაქი ჩაიგდო ხელში, მათ შორის, ზინჯიბარი. გუშინ კიდევ ერთი დიდი ოპერაციის დროს სამთავრობო ჯარებმა არტილერიის, ავიაციის და თვით მოხალისეთა რაზმების მონაწილეობით ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ალყა შემოარტყეს 300 კაციან დაჯგუფებას. მოკლულია "ალ კაიდას" 40 მებრძოლი. სხვა დეტალები იემენის თავდაცვის სამინისტროს არ გაუვრცელებია.

2012 წლის დასაწყისიდან ქვეყანას ახალი პრეზიდენტი აბდურაბუ მანსურ ჰადი მართავს, რომელმაც გაპრეზიდენტებისას "ალ კაიდას" წინააღმდეგ ბრძოლის პირობა დადო.

19 ივნისს დევიდ მარანისის "ბარაკ ობამა: ისტორია" გამოქვეყნდება

"ის ძალიან შავი იყო ინდონეზიაში, შერეული ბავშვი იყო ჰავაიში, მულტიკულტურული - ლოს ანჯელესში, "უხილავი კაცი"- ნიუ-იორკში; და ბოლოს, ბარაკ ობამა შავი იყო ჩიკაგოს სამხრეთ ნაწილში."

დაინტერესებულ მკითხველს დევიდ მარანისის ბიოგრაფიის "ბარაკ ობამა: ისტორიის" შეძენა 19 ივნისიდან შეეძლება. როგორც "ნიუ იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, მარანისის წიგნში ობამას შესახებ ისეთი დეტალებია მოცემული, რომელიც მსოფლიოსათვის აქამდე ცნობილი არ ყოფილა. ავტორს პრეზიდენტის ყოფილმა მეგობარმა გოგონამ, ავსტრალიელმა თეთრკანიანმა ჟენევიევ კუკმა პრეზიდენტის შესახებ მისი ჩანაწერების გამოქვეყნების ნება დართო.

წიგნის ავტორი დევიდ მარანისი ვეტერანი "ვაშინგტონ პოსტელია", რომელიც ბილ კლინტონის შესახებ ცნობილი ბიოგრაფიის ავტორიც არის. ბიოგრაფია ობამას წინაპრებით იწყება და 27 წლის ობამათი სრულდება, როდესაც ის ჰარვარდის ბიზნესსკოლაში საქმიანობდა.

"ნიუ-იორკ ტაიმსის" შეფასებით, ეს წიგნი თანამედროვე პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანებს პრეზიდენტის სუსტ, ძლიერ და ამოუცნობ მხარეებზე წარმოდგენას შეუქმნის. ამერიკელი ჟურნალისტის, ჯეიმს ფელოუს აზრით, ეს წიგნი უკეთ გააცნობს მკითხველს ისეთ საჯარო ფიგურას, როგორიც ბარაკ ჰუსეინ ობამაა.

მოამზადა თამთა კახაძემ

შიშნარევი დუმილის დღე ეგვიპტეში

პირველი გვერდიდან

ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობისთვის ორი კანდიდატი იბრძვის - "ძმები მუსლიმების" წარმომადგენელი მუჰამედ მურსი და აჰმედ შაფიყი, რომელსაც ჰოსნი მუბარაქის მმართველობის პერიოდში პრემიერ-მინისტრის პოსტი ეკავა.

შაფიყის არჩევნებში მონაწილეობა კი სულ ორიოდე დღის წინ გადაწყდა, რასაც თან საპროტესტო აქციაც ახლდა უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს შენობასთან. "ძმებმა მუსლიმებმა" აჰმედ შაფიყისთვის არჩევნებში მონაწილეობის აკრძალვა საკანონმდებლო გზით სცადეს, მაგრამ უზენაესმა საკონსტიტუციო სასამართლომ შესწორება არ მიიღო. სასამართლოს წარმომადგენლების თქმით, "პოლიტიკური იზოლაციის შესახებ კანონი" არალეგიტიმურია. აჰმედ შაფიყმა უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდა. **"პოლიტიკური ანგარიშსწორების ეპოქა დასრულდა. დრო, როდესაც კანონი რომელიმე ჯგუფის საკეთილდღეოდ გამოიყენებოდა სხვების წინააღმდეგ ან სულაც მიმართული იყო კონკრეტული პირისადმი, უკვე დასრულდა,"** - განაცხადა საპრეზიდენტო კანდიდატმა. თუმცა, ამის მიუხედავად, ასობით მოწინააღმდეგე თავისი უკმაყოფილების გამოსახატავად კაიროში თაჰრირის მოედანზე მაინც გამოვიდა. **"მე შაფიყს ვეუბნები "არას". ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის პრობლემა მუბარაქსა და მის მომხრეებში მდგომარეობდა და რა, ახლაც ერთ-ერთ მათგანს ხომ არ მივცემთ ხმას?!"** - განაცხადა თაჰრირის მოედანზე ერთ-ერთმა დემონსტრანტმა.

ცოტა ხნის წინ საკონსტიტუციო სასამართლომ ეგვიპტის პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნების შედეგები გააუქმა, მაგრამ საპრეზიდენტო არჩევნების გადავადება ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობის მიუხედავად მაინც არ მომხდარა. უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილებაში წერია, რომ საპარლამენტო არჩევნები კონსტიტუციის ნორმების დარღვევით წარიმართა, რომლის თანახმადაც, პარტიულ დეპუტატებს საკანონმდებლო ორგანოში ადგილების ორი მესამედის დაკავების უფლება აქვთ, ხოლო დანარჩენ მანდატებზე პრეტენზია მხოლოდ დამოუკიდებელ კანდიდატებს შეუძლიათ ჰქონდეთ. როგორც საპარლამენტო კენჭისყრისას გაირკვა, ერთ მესამედს დამოუკიდებელი კანდიდატები კი არა, ასევე პარტიული სიით წარმოდგენილი პირები შეადგენდნენ. უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას დროისა და გარემოს შეუსაბამო უწოდა "ძმები მუსლიმების" საპრეზიდენტო კანდიდატმა მუჰამედ მურსიმ, მაგრამ ისიც განაცხადა, რომ გადაწყვეტილებას პატივს სცემს. **"მე პატივს ვცემ სასამართლოს გადაწყვეტილებას, რადგან პატივს ვცემ სახელმწიფო ინსტიტუტებს და ძალაუფლების განაწილებას. ჩვენ გავაგრძელებთ გზას და ყურადღებით დავაკვირდებით საპრეზიდენტო არჩევნებში ხმის მიცემის პროცესს. თუ არჩევნებში დარღვევები გამოვლინდება, ვიცით, ეს რა შედეგებამდე მიგვიყვანს - დამნაშავეების, იმ ხალხის წინააღმდეგ რევოლუციამდე, რომელიც მას იცავს. 25 იანვრის რევოლუცია მანამდე გაგრძელდება, ვიდრე მისი მიზნები საბოლოოდ არ იქნება მიღწეული,"** - განაცხადა მუჰამედ მურსიმ. რაც შეეხება განმეორებით საპარლამენტო არჩევნებს, მისი თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება "ძმებ მუსლიმებში" მაინც იწვევს შეშფოთებას, რაც მათ ერთობლივ განცხადებაში გამოხატეს. **"წარსული ეპოქის ერთ-ერთი სიმბოლოს ხელში ძალაუფლების მოხვედრისთანავე რევოლუციის ყველა დემოკრატიული მონაპოვარი გაქარწყლდება და განადგურდება. ეგვიპტეს ურთულესი დღეები ემუქრება, რაც შესაძლოა იმაზე სახიფათო აღმოჩნდეს, ვიდრე მუბარაქის მმართველობის ბოლო ეტაპი იყო,"** - ნათქვამია ეგვიპტის მოსახლეობისადმი "ძმები მუსლიმების" მიერ გავრცელებულ მიმართვაში.

უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილება არც სხვა ეგვიპტელ პოლიტიკოსებს დაუმალავთ. ისლამისტი აბდულ მონეიმ აბულ ფოთუჰის თქმით, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში მონაწილეობდა, პარლამენტის დათხოვნა, ფაქტობრივად, სრულ გადატრიალებას უტოლდება და ვინც ფიქრობს, რომ მილიონობით ახალგაზრდა ეგვიპტელი ამას მშვიდად მიიღებს, ძალიან ცდება.

ექსპერტების ნაწილის აზრითაც, ამ გადაწყვეტილების გამოცხადება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ პროვოკაციის ნიშნებს შეიცავს და ძნელი გასაგებია, ვის აძლევს ხელს.

არგენტინა ფოლკლენდის თაობაზე მოლაპარაკებებს მოითხოვს

სალომე ჭანიაშვილი

ხუთშაბათს ფოლკლენდის კუნძულებზე გაიმართა დღესასწაული, რომელიც ფოლკლენდში სამხედრო კონფლიქტის მოგვარების 30 წლისთავს ეძღვნებოდა. ეს იყო ორთვიანი ომი, რომლიც 1982 წლის 14 ივნისს დასრულდა და რომლის შედეგადაც დიდმა ბრიტანეთმა კუნძულები არგენტინის ოკუპაციისგან გაათავისუფლა.

ცერემონიალი ჩატარდა პორტ სტენლის საკათედრო ტაძარში, რომელიც ფოლკლენდში ადმინისტრაციულ ცენტრსა და ერთადერთ ქალაქს წარმოადგენს. აღლუმი თავისუფლების ძეგლთან ჩატარდა და მასში ომის ვეტერანები მონაწილეობდნენ. მათ პატივი მიაგეს 255 ბრიტანელი ჯარისკაცის და 3 მშვიდობიანი მოქალაქის ხსოვნას, რომლებიც ომის დროს დაიღუპნენ. გარდა ბრიტანელებისა, ომმა 650 არგენტინელიც იმსხვერპლა.

ცერემონიაზე სიტყვით გამოვიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი და დიდი პატივისცემით მოიხსენია ის ადამიანები, რომლებმაც კუნძული ფოლკლენდი დაიბრუნეს. მისი თქმით, ფოლკლენდის მოსახმლეობის 10 თაობა იბრძოდა იმისთვის, რომ უზრუნველეყო მათი შვილების მომავალი, და წარმატებას მიაღწიეს კიდეც, "მიუხედავად აგრესიული მუქარებისა" არგენტინის მხრიდან. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ბრიტანელები, ისევე, როგორც წარსულში, მომავალშიც დაიცავენ ფოლკლენდის მოსახლეობას. მან სიტყვით გამოსვლისას არგენტინა აგრესიაში დაადანაშაულა. პრემიერმა განაცხადა, რომ "მუქარა ვერ იმუშავებს, მოსახლეობის დაშინება კი შედეგს ვერ გამოიღებს, რადგანაც ბრიტანეთი მყარად დგას თავის ადგილზე და ყოველთვის მზად არის, ფოლკლენდის მცხოვრებლები დაიცვას." კამერონმა ასევე უარყო არგენტინელების ბრალდება, რომ ბრიტანელები კუნძულის მილიტარიზაციას ახორციელებენ.

არგენტინა პოზიციების დათმობას არ აპირებს და სურს, რომ ფოლკლენდის კუნძულების სტატუსი მის საკეთილდღეოდ გადაწყდეს. კონფლიქტის დასრულების 30 წლისთავის დღეს მან გადაწყვიტა, რომ ეს საკითხი გაეროს დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დაეყენებინა. არგენტინის პრეზიდენტმა კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა გაეროს დეკოლონიზაციის კომიტეტის ბოლო შეხვედრაზე მოსთხოვა დიდ ბრიტანეთს, რომ ის ფოლკლენდის კუნძულების სუვერენიტეტის შესახებ მოლაპრაკაკებაზე დათანხმდეს. ეს განცხადება გაკეთდა შეხვედრაზე, რომელიც ბრიტანეთის მიერ არგენტინისგან ოკუპირებული ტერიტორრიის განთავისუფლებას ეძღვნებოდა. არგენტინის პრეზიდენტის განცხადებით, ფოლკლენდის კუნძულების საკითხში, რომელსაც ისინი მალვინის კუნძულებს უწოდებენ, ისტორია და გეოგრაფია მათ მხარესაა. პრეზიდენტის ამ განცხადებას კუნძულების წარმომადგენელმა "დამცინავი" უწოდა, ხოლო ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა განაცხადა, რომ მოლაპრაკებები არ შედგება.

გაეროს წევრი სახელმწიფოების უმეტესობა მხარს უჭერს არგენტინის მოთხოვნას, რომ შედგეს მოლაპარაკებები ფოლკლენდის კუნძულის სტატუსის შესახებ. არგენტინის პრეზიდენტის განცხადებით, ფოლკლენდის კუნძულები სამხრეთ ამერიკის ნაწილს წარმოადგენს, "როგორ შეიძლება ამტკიცო, რომ ბრიტანეთიდან 14 ათასი კილომეტრის დაშორებით მდებარე ტერიტორია შესაძლოა მისი იყოს?" - რიტორიკული კითხვით მიმართა მან გაეროს წევრ სახელმწიფოებს და აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთი გაეროს უშიშროების საბჭოში პრივილეგიებით სარგებლობს.

არგენტინის პრეზიდენტის გარდა, სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ფოლკლენდის კუნძულების ორი წარმომადგენელიც, რომლებიც თვითგამორკვევის უფლებას მოითხოვდნენ. მაიკლ სამერსმა ხაზი გაუსვა, რომ კუნძულზე მცხოვრებ მოსახლეობას "მკაფიო და ნათელი თვითმყოფადობის უფლება აქვს," ხოლო არგენტინას მხოლოდ მიწები სურს." ასეთი საქციელი სხვა საუკუნიდან მოდის და თანამედროვე მსოფლიომ არ უნდა აიტანოს," - განაცხადა ფოლკლენდის წარმომადგენელმა.

დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულება ასახა ბრიტანეთს პრემიერ-მინისტრმა ხუთშაბათს ფოლკლენდში გამოსვლის დროს, სადაც მან მკაფიოდ და არაერთხელ აღნიშნა, რომ ბრიტანელები ფოლკლენდის უფლებებს დაიცავენ, რადგან მოსახლეობას ბრიტანეთის საზღვრებში დარჩენა სურს. ამის დასადასტურებლად ბრიტანელებმა ხუთშაბათს ლონდონის სამთავრობო შენობების თავზე ფოლკლენდის დროშები აღმართეს.

ვაკციფისტი "ქოლგა"

სალომე შენგელიძე

ფოტოკონკურსმა "ქოლგამ" გამარჯვებულები "ვარდების ბაღში" გამოავლინა, თუმცა, კონცეპტუალური კავშირის პოვნას "ვარდების ბაღსა" და გამარჯვებული ფოტოების იდეურ- თემატურ შინაარსთან ნუ ეცდებით: როგორც კონკურსის დამფუძნებელი ბესო ხაინდრავა ამბობს, მთავარი თავისუფალი სივრცის პოვნაა გამოფენებისა თუ სხვა, "ქოლგის" ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებისათვის. წელს ვერცხლის ფოტოაპარატები და "ქოლგა თბილისი ფოტო 2012"- ის კატალოგები რამდენიმე ადამიანმა მიიღო:

ალექსანდრე როინაშვილის სახელობის პრიზი დოკუმენტური ფოტოს განვითარებისა და სრულყოფისთვის ფოტოჟურნალისტ, დოკუმენტურ ჟანრში მოღვაწე ფოტოგრაფ გოგი ცაგარელს გადაეცა. საბჭოთა ფოტოკამერით დაწყებული და პირველად საკუთარ შვილზე გამოცდილი ფოტომოღვაწეობა სასიამოვნო პროცესი აღმოჩნდა,- პროფესიით ინჟინერმა მასშტაბები გააფართოვა და ფირზე საბჭოური თუ პოსტსაბჭოური ტრანსფორმაციის კადრები ასახა. მისი კამერა ახლა სოციალურ და ურბანისტულ ყოფას აღბეჭდავს. ხუთ კატეგორიაში გამოვლენილ წლევანდელ გამარჯვებულებს კი მუშაობა საბჭოური კამერით ნამდვილად არ დაუწყიათ: საუკეთესო კონცეპტუალური ფოტოპროექტის ტიტული თორბენ ჰოკემ მოიპოვა სერიით "გაურკვეველი სივრცე". რეინის ფიოდოროვის ნიუ იორკული "რუტინა" ჟიურიმ საკუთესო მომენტად, ხოლო რეპორტაჟად - ფილიპ სპალეკის "წმინდა მარკოზის მემკვიდრეობა" გამოაცხადა. სპალეკი მუსლიმთა მიერ ეგვიპტელი კოპტების დევნის მაგალითზე რელიგიური სისხლისღვრის დაგმობას შეეცადა.

თუმცა, რა უნდა დაგმო მაშინ, როცა ფოტოებით ერთი ადამიანის ისტორიის გამოსახვას ცდილობ? - შესაძლებელია, ძალადობის მსხვერპლი აღბეჭდო და ეს პირდაპირი მესიჯი იქნება სასტიკი სამყაროსადმი, რომელიც დღესაც კი ისევე არსებობს, როგორც ადრე და ცივილიზაციის სიკეთე მას არც შეხებია; ფოტოხელოვანებს კიდევ მრავალი შეტყობინების მიტანის შესაძლებლობა ეძლევათ ადამიანებთან: ემანუელ ლამიმ "ქოლგის" დარბაზში შემოიტანა ბალეტის მოცეკვავის, ჯონის ამბები, რომელიც დიდი ხნის წინ შიდსით დავაადდა და მიუხედავად ამ, რბილად რომ ვთქვათ, არამარტივი სენისა, ის საკუთარი პროფესიით ახლაც აქტიურად აგრძელებს ცხოვრებას. საუკეთესო დოკუმენტური სერიის ავტორი სწორედ ლამი გახდა. როგორც ბრიტანელმა ფოტოდოკუმენტალისტმა ნაიჯელ დიკინსონმა გამარჯვებულის გამოცხადებისას თქვა, აქ რომ მოდიოდა, ეგონა, უამრავ ფსევდოფოტოინტელიგენტს ნახავდა - ასე ხომ არცთუ ისე იშვიათად ხდება ხოლმე არა მხოლოდ საქართველოში, ხელოვნების სიყვარული ხშირად ერთგვარ პოზად გადაიქცევა. მაგრამ ნაიჯელს იმედები გაუცრუვდა: "მე აქ გავიცანი კრეატიული ახალგაზრდები, რომლებსაც მთელი გულით უყვართ ფოტოხელოვნება. უბრალოდ, მეტი უნდა იმუშაონ". "მეტი მუშაობის" აუცილებლობა არა მხოლოდ კონკურსის შედეგებში - ქართველი ავტორების სიმცირესა და საბოლოოდ, მათ მარცხში, არამედ, მათი ფოტოების სრულიად ხილული სისუსტით ჩანდა მსოფლიო ფონზე. რაც შეეხება ლამის, ის დასკვნით საღამოზე სკაიპით ჩაერთო და ჯონის ისტორია კიდევ ერთხელ გააცოცხლა. ისტორია გაცოცხლდა ჯესიკა ჰაინსის მძიმე ფოტოექსპერიმენტშიც "ჩემი ძმის ომი": "1967 წელს ჩემი ძმა გარი აშშ-ს არმიამ ვიეტნამის ომში გაიწვია. ჩვენი მშობლები თავს ცუდად გრძნობდნენ, გარი კი ჩვენზე ზრუნავდა. ამის გამო, საცხოვრებლად ნათესავებთან გამიშვეს. 4 ნოემბერს, ჩემს მერვე დაბადების დღეზე, ის ვიეტნამის ქალაქ კუინიონში ჩავიდა. თინეიჯერეობის ასაკამდე მას იშვიათად ვნახულობდი. შინ დაბრუნებისას, გარის "სამსახურთან დაკავშირებული ნერვული მდგომარეობა" აღმოაჩნდა, რომელიც, როგორც მოგვიანებით გამოვარკვიეთ, პოსტტრავმული სტრესული აშლილობა იყო. ჩემი ომამდე ნორმალური და გაწონასწორებული ძმა, აშშ-ს ომის ვეტერანების საქმეთა სამმართველოზე დაყრნობით, 50 პროცენტით შრომის უუნარო გახდა. ათი წლის შემდეგ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. მისი გარდაცვალებიდან ოცთახუთი წლის შემდეგ იძულებული გავხდი, მეპოვა პასუხები იმ კითხვებზე, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე პასუხგაუცემელი რჩებოდა. დავუკავშირდი გარის ომისდროინდელ მეგობრებს, დავესწარი მისი ასეულის შეკრებას, პირველად მივედი მის საფლავზე და სახლში, რომელშიც იგი გარდაიცვალა; აღმოვაჩინე, რომ იგი შეყვარებული იყო და ორჯერ გავემგზავრე ვიეტნამში, რათა მისი სურათების თუ წერილების დახმარებით, გარის "ნაკვალევზე" გამევლო. ბოლო წლის განმავლობაში, სხვა აღმოჩნებთან ერთად, გარის აქამდე უცნობი ნეგატივებიც ვიპოვე. განვაგრძობ სურათების გადაღებას იმისთვის, რომ უკეთ გავიგო, რა მოხდა ამდენი ხნის წინ. ჩემი ფოტოკამერის საშუალებით ვცდილობ, სხვებსაც გავუზიარო ჩემი აღმოჩენები და, ამავდროულად, საბოლოოდ დავიტირო, მივიღო და თანდათანობით გავუგო ძმას, რომელსაც სინამდვილეში არასოდეს ვიცნობდი." მისი ძმის ომი ჩვენი ძმების ომიც აღმოჩნდა ერაყში (და არა მხოლოდ): სწორედ ომის საშინელებებს ეხებოდა თინა შელჰორნის ლექციაც, რომელიც მან ვარდების ბაღშივე, 13 ივნისს წაიკითხა.

ნაიჯერ დიკინსონის ფოტო

თინა შელჰორნი დამაარსებელია გალერეა "ლიჰტბლიკისა", რომელიც "ქოლგა 2012"-ის პარტნიორი და ხელშემწყობია. დაამთავრა ფოტოსაინჟინრო ფაკულტეტი, სადაც სწავლება კინოსა და ფოტოგრაფიაზე იყო ორიენტირებული. ის გახლდათ საერთაშორისო ფესტივალ Fotoszene-ს ორგანიზატორი და 1995-2001 წლებში, გერმანიის ქალაქ ჰერტენში, ორგანიზებას და კურატორობას უწევდა საერთაშორისო ფესტივალ Fototage Herten-ს. 2005 წელს კი, მისი კურატორობით, ქალაქებში - მანჰაიმსა და ლუდვიგსჰაფენში გაიმართა საერთაშორისო ფესტივალი Fototage Mannheim/Ludwigshafen, რომელიც მოიცავდა 140 გამოფენას, სადაც თანამედროვე ამერიკული ფოტოგრაფიის 85 ნიმუში იყო წარმოდგენილი. თინა შელჰორნი "სინათლის ფესტივალის" და "ევროპის ფესტივალთა გაერთიანების" თანადამფუძნებელი და საერთაშორისო ფოტოკურატორების ასოციაციის - Oracle-ის წევრია. გამოქვეყნებული აქვს არაერთი წიგნი და კატალოგი, არის ავტორი უამრავი სტატიისა ფოტოგრაფიის შესახებ და, რაც მთავარია, მისი ვებ-გვერდები და საგამოფენო პროექტები Images against War (ფოტოები ომის წინააღმდეგ) (2003 წლიდან) და Images against Walls (ფოტოები კედლებზე) (2009 წლიდან) 900-ზე მეტ ფოტოგრაფს აერთიანებს მთელი მსოფლიოდან. სწორედ ამ პროექტების სამუშაო პროცესის აღწერას დაეთმო ლექცია "როგორ შევცვალოთ სამყარო."

როგორ შევცვალოთ სამყარო მაშინ, როცა მისი, როგორც მთლიანობის ქსოვილი ირღვევა სხვადასხვა მატერიალური სიკეთეების მისაღებად თუ წასართმევად მოწყობილი ომების გამო, "მოწყობილის", რადგან ხელოვნურად შექმნილი მიზეზები ისეთივე ხილულია, როგორც მაკიაჟი, რომელიც კანის ნაკლოვანებებს მხოლოდ რამდენიმე საათით ფარავს. სამყაროს შეცვლა ცოტათი ფანტასტიკურად, გნებავთ, ზედმეტად იდეალისტურად ჟღერს, თუმცა უკეთესობისკენ სწრაფვის სურვილი და ისეთი ვანდალიზმის დაგმობა, როგორიც ომია, ეს კანონიერი სისხლისღვრაა, ფსიქიკურად ჯანმრთელი ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა არის: შეუძლებელია, სისხლი გიყვარდეს.

"მეგობრებს, ფოტოგრაფებსა და არტისტებს, რომლებიც უკანასკნელი 25 წლის მანძილზე გალერეა ლიჰტბლიკთან და არლის, ბირმინჰემის, ბრაგას, გროინინგენის, ჰიუსტონის, პერპინიანის, პლოვდივის, პორტლენდის ფესტივალებთან არიან დაკავშირებული და მათ მეგობრებს, შეუძლიათ ომის წინააღმდეგ თავიანთი ვიზუალური განაცხადი გააკეთონ," - ეს იმეილი თინა შელჰორნისგან მსოფლიო ფოტოგრაფებმა მიიღეს. მალე ვებ-გვერდიც ამუშავდა ორასი არტისტის ნამუშევრებით. ფოტოგამოფენა კი მის გალერეაში "Babylonian hanging style" გაიმართა:

"ერაყის ამბებს ვაპროტესტებდით და გამახსენდა 60-იანი წლები - მაშინაც, ოღონდ სხვა გარემოში, გამოვხატავდით პროტესტს ავღანეთის ომისადმი. გამოფენის გაკეთება მინდოდა ომის თემატიკის ფოტოებით და მეგობრებს მოვუწოდე, დამხმარებოდნენ. მოსამზადებელი პერიოდი ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა, გამოფენა გაიხსნა და ომიც დაიწყო. მაგრამ ბევრი ნამუშევარი შემოვიდა და ვფიქრობდი, ამდენი ფოტოთი რა მექნა. ჩემმა სტუდენტმა საიტის გაკეთება შემომთავაზა - მასზე სამი დღე-ღამე ვმუშაობდით."

სანამ "ფოტოები ომის წინააღმდეგ" ჩვენამდე, გალერეა "გვირაბამდე" მოაღწევდა, თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა: ვებგვერდის მასალა საზოგადოებრივ სივრცეებში გადავიდა და გამოფენის სახე მიიღო, რომელიც ევროპასა და ამერიკაში იმართებოდა; მისი საზღვრები იზრდებოდა, რადგან რეგიონის ფოტოგრაფებიც აქტიურობდნენ. მონაწილეებს შორის არიან როგორც მსოფლიოში სახელგანთქმული არტ ფოტოგრაფები და მაგნუმის ფოტოჟურნალისტები, აგრეთვე, სტუდენტები. აქვე წარმოადგენენ ისეთი სპეციალური თემების არქივებს, როგორიცაა ვიეტნამის ომი.

ნამუშევრები ემოციურია, ფოტოგრაფები სინამდვილეს ასახავენ და ეს სინამდვილე ძალიან მძიმეა. ყველაზე მძიმე და მახინჯი კი ის ფაქტი იყო, რომ ამერიკული პოლიტიკის გამო ფოტოგრაფთა უმრავლესობა გახდა ჯარისკაცი და ამერიკული მთავრობის იდეოლოგიის გამტარებელი. ისინი აღარ იყვნენ თავისუფლები. სწორედ ამიტომ, 2003 წელს ჟურნალ-გაზეთები ნამდვილი ომის ამსახველი ფოტოების ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ. მათ იპოვეს ვებგვერდი და გერმანიის ისტორიაში პირველი პრეცედენტიც დაფიქსირდა: ერთ-ერთმა წამყვანმა გერმანულმა გაზეთმა ნომრიდან სხვა თემატიკის ფოტოები სრულად ამოიღო და მათ ნაცვლად ომის ამსახველი კადრები დაბეჭდა. გაზეთის გამოსვლის შემდეგ საიტი www.imagesagainstwar.com, კიდევ უფრო ცნობილი გახდა. 2003 წლის მარტსა და აპრილში ვებგვერდს უკვე 3 მილიონი დამთვალიერებელი სტუმრობდა. ცხრა წლის განმავლობაში ვიზუალური ფოტოპროტესტი "ფოტოები ომის წინააღმდეგ" რვაასზე მეტი ფოტოგრაფის ნამუშევარს აერთიანებს ორმოცი ქვეყნიდან. შელჰორნის იმეილიც სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსულმა წერილებმა გადატვირთა:

"ერთი ანიმაცია ყველაზე ხშირად მეორდებოდა - მოფრინავს შვეულმფრენი და ჩნდება წარწერა "შენ უკვე მკვდარი ხარ!" აქვე - ბახ, ბახ, ბახ! საშინელება იყო და მე დავფიქრდი, როგორ იქნებოდა თავისუფალი ჟურნალისტი ერაყში," - იხსენებს თინა, - "დიახ, გაზეთის გამოსვლის შემდეგ საიტი ძალიან ცნობილი გახდა. რაც შეეხება გამოფენებს, ვოლფგანგ ცურბორნი თავდაპირველად იღებს სხვადასხვა გალერეის მაკეტს და ხატავს ფოტოების განლაგებას. თავიდან გვეგონა, მსგავსი თემატიკის გამოფენა ორი-სამი კვირა გასტანდა, მაგრამ შევცდით - მასწავლებლებს მოჰყავდათ მოსწავლეები და ექსპოზიციას აჩვენებდნენ. შემდეგ ბავშვები სკოლებში მსგავსი თემატიკის პროექტებს აკეთებდნენ, მაგალითად, მათ ჩაატარეს გამოკვლევა, თუ რა ემართებათ ბავშვებს ომში - მათი მსხვერპლი დიდია. ასევე, ქალაქის ცენტრში, კიოლნში, მერიის წინ გამოფინეს ფოტოები და გამვლელებს აჩვენებდნენ ომის საშინელებებს."

2009 წელს თინა შელჰორნმა "სუბპროექტი" წამოიწყო. მისი შეტყობინება ასეთი გახლდათ: "1989 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედელი დაინგრა და 1989 წელს რკინის ფარდა დაეშვა. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს სასაზღვრო კედლები და უმრავლესობა ჯერ კიდევ შენდება.. აშშ/მექსიკა - ისრაელი/პალესტინა - ჩრდილოეთ/სამხრეთ კორეა - ღაზა/ეგვიპტე - სეუტა/მაროკო.... ვფიქრობ, დროა, რამე განსაკუთრებული მოვამზადოთ და დავიწყოთ "ფოტოები კედლების წინააღმდეგ". თქვენი სურათები მჭირდება, თქვენი მონაწილეობა, თანაც ახლავე". www.imagesagainstwalls.com - ასე ჰქვია საიტს, რომელიც www.imagesagainstwar.com - თან ერთად ქართველ ფოტოგრაფებსაც ელოდება:

"საიტი მხატვრებისთვის არაა განკუთვნილი, თუმცა, თუ მხატვარი საკუთარ ნამუშევარს ფოტოგრაფიულ სახეს მისცემს, ავტვირთავ. მხოლოდ ორჯერ არ ავტვირთე მასალები - ერთხელ პორნოგრაფია შემოვიდა, მეორედ კი - რასისტული ხასიათის ფოტო. ჯერჯერობით, ქართველები არ აქტიურობენ და არ გვაქვს ფოტოები საქართველოდან, იმედია, გამოგვეხმაურებიან," - აღნიშნავს თინა.

"ქოლგა თბილისი ფოტო" 2013 წლამდე დაგვემშვიდობა და თან გაიყოლა ქართველი ფოტოგრაფების იმედგაცრუება.

"დურუჯის" ლაურეატები დღეს გამოვლინდებიან

პირველი გვერდიდან

- საუკეთესო სარეჟისორო ნამუშევრის ავტორი;

1. რობერტ სტურუა
   "ნადირობის სეზონი"
2. ნიკა თავაძე
   "სტრიპტიზი"
3. გიორგი თავაძე
   "გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი"

- საუკეთესო მსახიობი ქალი;

1. ია სუხიტაშვილი
   "ნადირობის სეზონი"
2. ქეთა შათირიშვილი
   "R+J ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება"
3. მაგდა ლებანიძე
   "R+J ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება"
4. კატო კალატოზიშვილი
   "R+J ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება"
5. მაია გელოვანი
   "R+J ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება"

- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი;

1. მარლენ ეგუტია
   "კრეპის უკანასკნელი ფირი"
2. მამუკა მანჯგალაძე
   "გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი"
3. ტიტე კომახიძე
   "გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი"
4. გიორგი ნაკაშიძე
   "R+J ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება"
5. პაატა ინაური
   "R+J ბედისწერა დაბნეულია რომეო და ჯულიეტა მესამე მეხსიერება"
6. დათა თავაძე
   "სტრიპტიზი"

- სეზონის განმავლობაში დადგმული საუკეთესო ქართული თანამედროვე პიესის ავტორი;

1. თამაზ ჭილაძე
   "ნადირობის სეზონი"
2. ლაშა ბუღაძე
   "პანთეონი"

- საუკეთესო მხატვარი;

1. თემურ ნინუა
   "ნადირობის სეზონი"
2. ნინო კიტია
   "ფსიქოზი 4:48"
3. გიორგი თავაძე
   "გვესაჭიროება მოხუცი კლოუნი"

- საუკეთესო ახალგაზრდა რეჟისორი.

1. ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი
   "კრეპის უკანასკნელი ფირი"
2. მაკა ნაცვლიშვილი
   "ფსიქოზი 4:48"
3. გაგა გოშაძე
   "ბოლო გაჩერება"

"მოხარული ვარ, რომ ოთხი წლის განმავლობაში "დურუჯმა" მოახერხა თეატრალურ სფეროში დაწესებული ყველაზე პრესტიჟული კერძო პრემიის სახელის დამკვიდრება. ინტერესი "დურუჯის" მიმართ ყოველწლიურად იზრდება და თეატრებიც სულ უფრო მეტი ენთუზიაზმით ერთვებიან კონკურსში. წარმატება სტიმულს აძლევს ლაურეატებს, სხვა ნომინანტებს კი კონკურენტული ნამუშევრების შექმნისკენ უბიძგებს; საბოლოო ჯამში, ეს ყოველივე თეატრალური სეზონის განმავლობაში განხორციელებული პროდუქციის ხარისხის სრულყოფასა და გაუმჯობესებაზე უნდა აისახოს და იმედია, ეს ასეც მოხდება", - აცხადებს "დურუჯისა" და საქველმოქმედო ფონდ "ცისკრის" დამფუძნებელი ბატონი ლაშა პაპაშვილი.

თეატრალური პრემია "დურუჯის" პარტნიორები არიან კომპანია "რედიქსი" და ბანკი "რესპუბლიკა"; საინფორმაციო მხარდამჭერები - ტელეკომპანია "რუსთავი 2", გაზეთი "24 საათი", რადიო "ფორტუნა"; მხარდამჭერები - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, "ჯეოსელი", ველნეს-ცენტრი "კლუბი 71", გამომცემლობა "დიოგენე", საიუველირო მაღაზიათა ქსელი "ბაკარა", GD ALCO, "ისი-პარი", "ფრეზია", "ირაკლი წულაძე ქანდაკება", "თელავის ღვინის მარანი".

მეუღლე ასმათ ნიჟარაძე, შვილები თაკო, ნინი და მანანა. სიძე გიორგი, დისშვილები ქეთი, მარი ჭანჭალეიშივლები, სიდედრი გულნაზი, ცოლისდები ფანდა, ფატი, ქვისლები ვიტალი ხაზარაძე, ედუარდ ზაალიშვილი. დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რეზო მიხეილის ძე ვადაჭკორია.

პანაშვილი 17,18 ივნისი. დაკრძალვა 19 ივნისი 14 საათი. მისამართლი დიდუბის II.შეს N15

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა

უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

მუხლი 104⁴ (22.05.2012. № 6238)

1. 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად შესაბამისი ასაკიდან აქვთ პირებს, რომლებიც დაბადებული არიან და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობენ სდაქართველოში და ამ მუხლის ამოქმედების მომენტისათვის აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაზე არ ვრცელდება კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტით დადგენილი შეზღუდვები.

საქართველოს კონსტიტუციის 104⁴ მუხლის
გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი მისი ფუნქციებიდან გამომდინარე აქვეყნებს თავის პოზიციას საზოგადოებაში არაერთგვაროვნად გაგებული კონსტიტუციის ახალი 104⁴ მუხლის შინაარსის თაობაზე. ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი ოპოზიციის ერთი ნაწილი თვლის, რომ მუხლის შინაარსით ვერ იქნება მიღწეული წინასწარ დეკლარირებული მიზანი _ ევროკავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც დაბადებულია და ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში (შემდგომ ტექსტში – განსაკუთრებული საარჩევნო სუბიექტი), ექნება 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისა და პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერის თანამდებობათა დაკავების უფლება. ამ მოსაზრების თანახმად, განსაკუთრებული საარჩევნო სუბიექტი არჩევნებში არათანაბარ პირობებში მიიღებს მონაწილეობას და როგორც არ უნდა დასრულდეს არჩევნები არ ექნება პარლამენტის თავმჯდომარის ან პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების უფლება.

ვიყენებთ რა ნორმის განმარტების გრამატიკულ, განვრცობით, სისტემურ და სხვა მეთოდს, ვთვლით, რომ

ა) კონსტიტუციის ხშირი გადასინჯვა მეტადრე ერთ, თუნდაც ძლიერ ფიგურაზე მორგება არ არის სასურველი.

ბ) ამავდროულად კონკურენტუნარიანი, სამართლიანი და თანასწორი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, 104⁴ მუხლი ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას;

გ) 104⁴ მუხლით მოგვარებულია კონკრეტული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობა, მაშასადამე ამ მუხლის მე-2 პუნქტში ნახსენები „შემთხვევა" საკვანძო სიტყვაა, რომელიც განუყოფლად მოიცავს ერთმანეთთან სამართლებრივ კავშირში მყოფ კონსტიტუციურ-სამართლებრივ ურთიერთობას, ანუ არჩევნებს, და ამ ურთიერთობათა სუბიექტებს, ანუ საქართველოს მოქალაქეებსა და განსაკუთრებულ საარჩევნო სუბიექტს. შესაბამისად –არაკორექტულია სამართლებრივ ნორმაში დაინახო ობიექტი და ყურადღების მიღმა დატოვო სუბიექტი;

დ) ცნობილია – სამართლის ნორმა სხვა ნორმებთან კავშირში უნდა წავიკითხოთ და არა იზოლირებულად, 104⁴ განხილული უნდა იყოს როგორც კონსტიტუციის სხვა მუხლებთან (მაგალითად 28-ე), ასევე კანონმდებლობის (უწინარესად საარჩევნო კოდექსი) სხვა დებულებებთან სისტემურ კავშირში. შესაბამისად, კონსტიტუციით დადგენილია (საჭიროების შემთხვევაში დაკონკრეტდება მიმდინარე კანონმდებლობაში) განსაკუთრებული საარჩევნო სუბიექტისათვის არჩევნებში მონაწილეობის სრულფასოვანი შესაძლებლობა, წინასაარჩევნო პერიოდში სხვა კანდიდატებთან თანაბარი უფლებებით აღჭურვა, ხოლო არჩევისას სხვა დეპუტატების თანაბარი, მათ შორის პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობის დაკავების უფლების ქონა;

ე) ისევ განმარტების სისტემურ მეთოდზე დაყრდნობით, რომელიც გამაგრებულია 104⁴ მუხლის მე-2 პუნქტში საგანგებო მითითებით, ვხედავთ სრულიად აშკარა ლოგიკურ და სამართლებრივ კავშირს 104⁴-სა და 29 მუხლის 1¹ პუნქტებს შორის. შესაბამისად, განსაკუთრებული საარჩევნო სუბიექტს, რომელიც მონაწილეობს საპარლამენტო არჩევნებში, არ შეეხება 29 მუხლის 1¹ პუქტით დადგენილი შეზღუდვები და მას შეუძლია დაიკავოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და
ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

მუხლი 51

საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა უნდა გაიმართს არჩევნებიდან 20 დღის განმავლობაში. პირველი სხდომის დღეს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. პარლამენტი მუშაობას შეუდგება, თუ დადასტურებულია დეპუტატთა არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება.

საქართველოს პარლამენტის სხდომის გაამრთვის წესი კონსტიტუციის 51-ე მუხლთან ერთად განსაზღვრულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით. რეგლამენტი აკონკრეტებს, რომ ახალადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში. პარლამენტი მუშაობას შეუდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ცენტრალური საარჩევნო კომისია დაადასტურებს (არჩეულად გამოაცხადებს) პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევას.

ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას, თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. პარლამენტის წევრთა რეგისტრაცია ხდება დროებითი მოწმობის საფუძველზე, რომელსაც ახორციელებს პარლამენტის აპარატი. ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას ხსნის საქართველოს პრეზიდენტი. საქართველოს პრეზიდენტი სიტყვას აძლევს ასაკით უხუცეს პარლამენტის წევრს, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება სხდომას. სხდომაზე შეიძლება მიწვეულ იქნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ქვეყნის სხვა რელიგიურ კონფესიათა უმაღლესი სასულიერო პირები, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები და ამომრჩეველთა წარმომადგენლები.

აკაკი კუხალეიშვილი

კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ქ.ბათუმი, საქართველოს ა.მოწყობილობის, №26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12; (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

ფრანგებმა სტატუსი შეიძინეს

მიხეილ აბაიშვილი

ბენზემამ 2 საგოლე გადაცემა მიითვალა

ისეთ ბლიცტურნირებში, როგორიც ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატების ჯგუფური სტადიაა, ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ სწორედ მეორე ტურში წყდება. მით უმეტეს, როცა საუბარი ეხება საკმაოდ თანაბრად დაკომპლექტებულ D ჯგუფს ინგლისის, საფრანგეთის, შვედეთის და უკრაინის შემადგენლობით. მართალია, საფრანგეთი და ინგლისი ფავორიტებად არიან დასახელებულნი, თუმცა, მასპინძლის სტატუსი და შინაური კედლების მხარდაჭერა უკრაინას, ამ გუნდებს პრაქტიკულად უთანაბრებს, ხოლო შვედეთი თავისი იბრაჰიმოვიჩით ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის რომ სერიოზული, ანგარიშგასაწევი ძალაა, არაერთხელ დამტკიცებულა.

2000 წელს ბელგია-ჰოლანდიაში ჩატარებულ საკონტინენტო პირველობაზე გამარჯვების შემდეგ ფრანგები, რბილად რომ ვთქვათ, ევროპირველობაზე ვეღარ ბრწყინავენ. "სამფეროვნები" 2004-ში მეოთხედფინალურ სტადიაზე დამარცხდნენ, 2008-ში კი საერთოდაც ჯგუფში ჩარჩნენ. ლორან ბლანის შეგირდებმა მაინცა და მაინც დამაჯერებლად ვერც მიმდინარე ევროკამპანია დაიწყეს. პირველ ტურში საფრანგეთის ნაკრები ოდენ ქულას გამორჩა, თუმცა ფრე ფეხბურთის მამამთავარ ინგლისთან არცთუ ცუდ შედეგად უნდა ჩაითვალოს. ქულათა ყულაბაში არსებული დეფიცი შევსებას საჭიროებდა, რის გამოც "სამფეროვნებს" გუშინ კომპრომისზე თამაშის საშუალება აღარ ჰქონდა. საპირისპიროდ, უკრაინამ შვედეთის დამარცხებით ჩინებული სტარტი აიღო, რაც ამ გუნდს ტაქტიკური მრავალფეროვნებიდან არჩევანის გაკეთების საშუალებას უტოვებდა. ბლოხინს უნდა გადაეწყვიტა - ეთამაშა მის გუნდს არწაგებაზე და მთავარი ყურადღება საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გადაეტანა, თუ უფრო თამამი ტაქტიკა აერჩია და პლეი ოფში გასვლის ბედის უკვე მეორე ტურში გადაწყვეტა ეცადა.

ბლოხინმა აშკარად მეორე ვარიანტი აირჩია და მატჩი, რომელსაც დონეცკის დონბას არენამ უმასპინძლა, ფრანგების სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. ასეთი ვითარების მიუხედავად, პიატოვის კართან მომენტების სიმრავლე არ ყოფილა - უკრაინელები მწყობრად იცავდნენ თავს და განსაკუთრებულ შეცდომებს არ უშვებდნენ. და მაინც, შეხვედრის პირველ ნახევარში ლორან ბლანის ფეხბურთელებს, სულ მცირე, ორჯერ მართებდათ გოლის გატანა. პირველ შემთხვევაში ასოცპროცენტიანი შანსი "პარი სენ ჟერმენის" თავდამსხმელმა, ჟერემი მენეზმა გაანიავა, როცა კარის წინ ეულად ხუთიოდ მეტრში მყოფმა ბურთი მაინცა და მაინც მეკარეს გაარტყა. მეორე შემთხვევაში კუთხურიდან ჩამოწოდების შემდეგ ბრწყინვალედ უტევდა "მილანის" მცველი, ფილიპ მექსე, მაგრამ მისი თავურის შემდეგ პიატოვმა კიდევ ერთი "სეივი" შეასრულა და შესვენებაზე თავისი გუნდის კარი "მშრალად" შეინახა. შანსი მიეცა "შევასაც", მაგრამ მისი უძლიერესი დარტყმის შემდეგ უგო ლორისმაც დაადასტურა, რომ არც ფრანგები უჩივიან მეკარის ოსტატობას.

შეხვედრის მეორე ნახევარმა ტურნირს კიდევ ერთი ფავორიტი შემატა. თუ აქამდე სპეციალისტები ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების მთავარ პრეტენდენტებად გერმანიას და ესპანეთს ასახელებდნენ, უკრაინა-საფრანგეთის მატჩის მეორე ტაიმის შემდეგ ეს დუეტი ტრიოდ გადაიქცა. ფრანგებმა დამატებითი სიჩქარეები ჩართეს და მასპინძლების დაცვის ხაზიდან ქვა ქვაზე არ დატოვეს. 3-წუთიან მონაკვეთში ჯერ მენეზმა გამოიჩინა თავი ოსტატური დარტყმით, შემდეგ კაბაიეს ჯერი დადგა და 56-ე წუთისთვის საფრანგეთის ნაკრები უკვე 2:0-ს იგებდა. ამავე პერიოდში კიდევ ერთი სახიფათო შეტევა განვითარდა, მაგრამ ოლეგ ბლოხინის გუნდი საბოლოო კატასტროფისგან ძელმა იხსნა. ამ 15-წუთიანი "აფეთქების" შემდეგ "სამფეროვნები" დამშვიდდნენ, შედარებით წყნარ კალაპოტში გადაიყვანეს თამაში და შეხვედრა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს.

ევრო-2012
15 ივნისი, დონეცკის დონბას არენა
D ჯგუფი
უკრაინა - საფრანგეთი 0:2
გოლები: 0-1 მენეზი 53`, 0:2 კაბაიე 56`

შიშველი კულტურა

ხორვატიის კულტურის სამინისტროს თანამშრომელმა ელენა მიკშამ ირლანდიის ნაკრებთან მატჩში ხორვატიის ნაკრების გამარჯვება (3:1) ტოპლეს აღნიშნა.

მიკშასა და მისი მეგობრის შიშველი მკერდის ფოტოები სწრაფად გავრცელდა ინტერნეტ სივრცეში და საზოგადოების ყურადღებაც მიიპყრო.

"სამინისტრო ვალდებული იყო, გარკვეული რეაგირება მოეხდინა. სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ასე არ უნდა იქცეოდეს", - აცხადებს ხორვატიის კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი.

"არაფერს ვნანობ. ერთადერთი, რასაც მნიშვნელობა აქვს, ჩვენი ნაკრების გამარჯვებაა", - ამბობს მიკშა.

ნარინჯისფერი მერკელი

გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს ერთი შეცდომის გამო შესაძლოა გერმანელების თვალში ავტორიტეტი შეელახოს. საქმე ის არის, რომ გერმანია-ჰოლანდიის მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე გერმანიის კანცლერი ტელეეკრანებზე ნარინჯისფერი სამოსით გამოჩნდა - ნარინჯისფერი კი, მოგეხსენებათ, ჰოლანდიის ნაკრების ფერია.

"ანგელა, ეს როგორ გააკეთე, ასეთ დღეს ასე რატომ მოგვექეცი", - წერდნენ მეორე დღეს გერმანული გაზეთები.

ჰოლანდიის ფერებში გამოწყობილი კანცლერის ფოტო ერთ ღამეში ინტერნეტის საშუალებით მთელ ევროპაში გავრცელდა. საინტერესოა, რამდენად იქონიებს ეს ეპიზოდი გავლენას ამომრჩევლის ხმებზე.

რაც შეეხება თავად მატჩს, გერმანელებმა ჰოლანდიის ნაკრები ანგარიშით 2:1 დაამარცხეს. მერკელის ნარინჯისფერი სამოსი ვერაფრით დაეხმარა "ნარინჯისფერებს".

ხორვატია-იტალიას ხორვატი ემსხვერპლა

ფრანკფურტში ხორვატი გულშემატკივარი გარდაიცვალა. 22 წლის ფანატი ევრო-2012-ის ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში ის იყო იტალიის ნაკრებთან ფრედ (1:1) დასრულებულ შეხვედრას აღნიშნავდა, რომ მანქანიდან გადმოვარდა და თავი ასფალტს დაარტყა. პოლიციის განმარტებით, 22 წლის გულშემატკივარი " პასატის" ("ფოლკსვაგენი) ღია ფანჯრიდან სასწაულებრივად გადმოვარდა. ახლაც გამოცანად რჩება როგორ დაკარგა ბალანსი და გადმოვარდა ფანჯრიდან. ექიმების ყველა მცდელობა გადაერჩინათ ახალგაზრდა ხორვატი გულშემატკივრი, უშედეგო გამოდგა.

იმავე დღეს ფრანკფურტში, სადაც მრავლად არიან ხორვატები, კიდევ ერთი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. 18 წლის ხორვატმა გულშემატკივარმა BMW-ს საჭე ვერ დაიმორჩილა, გზის საპირისპირო მხარეს გადავიდა და ხეს შეასკდა. პოლიციის თქმით, ახალგაზრდა ხორვატი სასწაულებრივად გადაურჩა. აი, მანქანა კი იმდენად დაზიანებულა, რომ ევაკუატორს ავტო-სასაფლაოზე გადაუყვანია.

ჩინეთი მსოფლიოში ყველაზე სახიფათო შეჯიბრებას უმასპინძლებს

სულ მალე ჩინეთში შეიკრიბება მსოფლიოს 16 საუკეთესო ვინგსიუტერი (ექსტრემალები, რომლებიც სპეციალური კოსტიუმებით კლდის წვერიდან ხტებიან და პარაშუტის გახსნამდე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფრენენ), მათ შორის, სიკვდილთან თამაშის ისეთი მოყვარულები, როგორებიც არიან ჯებ კორლისი და რობერტა მანიჩო.

ჩინეთში გასამართ ტურნირზე ექსტრემალები კლდის წვერიდან ცალ-ცალკე გადმოხტებიან, რათა თავი დაიზღვიონ ერთმანეთთან შეჯახებისგან. ასე რომ, ტურნირის მოსაგებად მთავარი იქნება სწორი ტრაექტორიის შერჩევა, რათა მეტოქეს საჭირო მილიწამები მოუგო. სავარაუდოდ, სპორტსმენები კლდეებთან ძალიან ახლოს იფრენენ.

"წარმოიდგინეთ ფორმულა 1-ის ვარსკვლვები, ოღონდ ცაში, ორგანზომილებიანი რბოლების ნაცვლად, ნამდვილი 3D ფრენები. სპორტსმენები იფრენენ როგორც ჩიტები და შეეცდებიან კლდეებს აუარონ გვერდი", - ამბობს ჯებ კორლისი.

ტურნირის ორგანიზატორები მაქსიმუმს გააკეთებენ სპორტსმენების დასაზღვევად. ექსტრემალები, რომლებიც ზედმეტად გარისკავენ, ტურნირიდან მოიხსნებიან. ასე რომ, გულშემატკივრები ვერ ნახავენ ისეთ სასიკვდილო ტრიუკებს, როგორსაც თავად კორლისი სთავაზობს ხოლმე პუბლიკას. ერთ-ერთი გაფრენის დროს ის კლდეს ფეხით კი ეხებოდა.

ბენდტნერი, შესაძლოა, უეფამ დასაჯოს

დანიის ნაკრების ფორვარდი ნიკლას ბენდტნერი, შესაძლოა, ირლანდიური ბუკმეიკერული კანტორის ფარული რეკლამისთვის დაისაჯოს. მას შემდეგ, რაც დანიელმა ფორვარდმა პორტუგალიის ნაკრების კარში მეორე გოლი გაიტანა, შორტი ჩაიწია და მწვანე საცვალზე გამოაჩინა ირლანდიური ბუკმეიკერული კანტორის Paddy Power-ის წარწერა.

"გვიხარია, რომ ნიკლასმა ასეთი ბრწყინვალე თამაში აჩვენა. უდავოა, რომ პორტუგალიის კარში ორი გოლის გატანაში მას ჩვენი ტრუსები დაეხმარა", - ამბობს Paddy Power-ის წარმომადგენელი.

რამდენი გადაუხადეს ბენდტნერს ამაში, უცნობია, თუმცა, ზუსტად არის ცნობილი, რომ უეფა ფეხბურთელების მიერ ასეთ რეკლამას კატეგორიულად კრძალავს და, სავარაუდოდ, ბენდტნერიც დაისჯება.

ბორჯღალოსნები VS "არწივები" მესამედ

გიგა გურასაშვილი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ჩრდილოამერიკულ ტურნელში აშშ-ისა და კანადის ნაკრებებთან ტესტ-მატჩებისთვის 11 ივნისს, გამთენიისას გაემგზავრა და დანიშნულების ადგილზე 34 საათიანი მოგზაურობის შემდეგ ჩააღწია. გუნდს საფრანგეთიდან აშშ-ში შეუერთდნენ ჩილაჩავა და ლაბაძე. თამაში კოლორადოს შტატში, ქალაქ დენვერში, ზღვის დონიდან 1600 მეტრის სიმაღლეზე გლენდეილში გაიმართება.

მასპინძლებმა სათამაშოდ ეს ადგილი სავარაუდოდ იმიტომ შეარჩიეს, რომ ქართველებთან შარშანწინდელი მარცხისთვის რევანში სწყურიათ. კლიმატური პირობები და დროში 10-საათიანი სხვაობა, ბორჯღალოსნებს ადაპტაციაში პრობლემას უქმნის.

სამწვრთნელო შტაბის განცხადებით, ბორჯღალოსნები აკლიმატიზაციის პროცესს გადიან და მიკროტრავმების მიუხედავად, დღეში ორჯერადი ვარჯიშები აქვთ.

ნაკრების ხელმძღვანელთა თქმით, ის მორაგბეები, რომლებიც ამერიკასთან განაცხადში ვერ მოხვდებიან, თავის გამოჩენის საშუალება კანადასთან მიეცემათ.

ისიც ვთქვათ, რომ შუამარბი მერაბ შარიქაძე, რომელიც ძირითად შემადგენლობაშია, აშშ-სთან ჯახის შემდეგ სოლტ ლეიკ სიტიში გაემგზავრება და საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს შეუერთდება, რომელსაც მსოფლიო ალაფზე უწევს თამაში (ახალგაზრდა ბორჯღალოსნები კანადასთან, იაპონიასთან და ზიმბაბვესთან ერთად B ჯგუფში იასპარეზებენ. საგულისხმოა ისიც, რომ სამივე ნაკრები შარშან თბილისურ ალაფაზე იმყოფებოდა. ასე რომ, ნაკრების სამწვრთნელო შტაბისთვის თითოეული ნაკრების სათამაშო ოსტატობა ცნობილია. და კიდევ ის, რომ მხოლოდ გამარჯვებული გუნდი ეუფლება მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლებას).

"არწივები" რევანშის ასაღებად კარგა ხანია ემზადებიან და გასულ შაბათს კანადასთან ტესტმატჩიც ჰქონდათ. გუნდებმა სამსამი ღელო გაიტანეს, გამარჯვება კი კანადელებს დარჩათ - 28:25.

აშშ-ს ნაკრები გამოცდილი და ახალი მორაგბეების ნაზავს წარმოადგენს. მთავარმა მწვრთნელმა მიკ ტოლკინმა, აშშ-ს ყველა დროის გამორჩეულ მორაგბეებს, გუნდის კაპიტან ტოდ კლევერს, ტაკუ ნგვენიას და პოლ ემერიკსაც უხმო. რაც შეეხება გლენდეილის "ინფინიტი პარკს", ის ოთხი ათას გულშემატკივარს იტევს, ბილეთის ფასი 15 დოლარიდან იწყება. მასპინძლები ვარაუდობენ, რომ საქართველოს სავსე ტრიბუნებით დახვდებიან.

საქართველოსა და აშშ-ს გზები აქამდე ორჯერ გადაიკვეთა. პირველად 2009 წელს, "ჩერჩილის თასზე" დენვერში, როდესაც საქართველოს ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით 13:31 დამარცხდა. 2010 წელს აშშ-ის ნაკრები თბილისს ესტუმრა და მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე 17:19 დამარცხდა.

საქართველო VS აშშ კვირას, 17 ივნისს თბილისის დროით 05:00 საათზე დაიწყება.

"ინფინიტი პარკ". გლენდეილი. დენვერი
აშშ - საქართველო

საქართველო: 15. ლაშა ხმალაძე ("ლელო"), 14. ირაკლი მაჩხანელი ("სენტ ეტიენი", საფრანგეთი), 13. დავით კაჭარავა ("ნიცა", საფრანგეთი), 12. მერაბ შარიქაძე ("ჰართპული", ინგლისი), 11. სანდრო თოდუა ("ლელო"), 10. მერაბ კვირიკაშვილი ("სენ ჟუნიენი", საფრანგეთი), 9. ირაკლი აბუსერიძე (კაპ., "ოსერი", საფრანგეთი); 1. მიხეილ ნარიაშვილი ("მონპელიე", საფრანგეთი), 2. რევაზ ბელქანია ("ლა სეინი", საფრანგეთი), 3. დავით ზირაქაშვილი ("კლერმონი", საფრანგეთი), 4. ბექა ბიწაძე ("არმია"), 5. ვახტანგ მაისურაძე ("ალბი", საფრანგეთი), 6. გია ლაბაძე ("ლა სეინი", საფრანაგეთი), 7. გივი ბერიშვილი ("ლოკომოტივი"), 8. გიორგი ჩხაიძე ("სენ ჟუნიენი", საფრანგეთი).

სათადარიგოები: 16. შალვა მამუკაშვილი ("არმია"), 17. ირაკლი მირცხულავა ("ტარბი", საფრანგეთი), 18. ზვიად მაისურაძე ("ლოკომოტივი"), 19. გიორგი თხილაიშვილი ("არმია"), 20. გიორგი ბეგაძე ("ბათუმი XV"), 21. ლაშა მალაღურაძე ("ვალანსი", საფრანგეთი), 22. ირაკლი ყიასაშვილი ("ლელო"), 23. ლევან ჩილაჩავა ("ტულონი", საფრანგეთი).

განაცხადში ვერ მოხვდნენ: დავით ჩიტიძე ("არმია"), ბიძინა სამხარაძე ("არმია"), თედო ზიბზიბაძე ("პერიგო", საფრანგეთი), ლექსო გუგავა ("ლელო"), ბექა წიკლაური ("ლოკომოტივი").

მთავარი მწვრთნელი: მილტონ ჰეიგი (ახალი ზელანდია)

შერკინების მწვრთნელი: კრის გიბსი (ახალი ზელანდია)

თანაშემწეები: ილია მაისურაძე, ილია ზედგინიძე

თორნიკე შენგელია: "ვეცდები, ჩემი ამრჩევი გუნდისგან კონტრაქტი დავიმსახურო"

პირველი გვერდიდან

ასევე ევროპის ყველა ქვეყნიდან იყვნენ მენეჯერები, მწვრთნელები და დამკვირვებლები. ყველას უნდოდა იმ თაობის ნახვა, რომელიც ევროპულ კალათბურთში მოდის. უშუალოდ კემპისთვის მოწვეული იყვნენ საუკეთესო სპეციალისტები, რომლებიც ვარჯიშებს ატარებდნენ და თამაშებში გუნდებს ხელმძღვანელობდნენ. ერთ-ერთი მათგანი იგორ კოკოშკოვი იყო.

- მასთან ურთიერთობა ხომ არ მოგიხდა?

- კოკოშკოვს პირადად ვხვდებოდი და ვსაუბრობდით. ის ჩვენი გუნდის მწვრთნელი არ ყოფილა, ნიკა მეტრეველის გუნდს ხელმძღვანელობდა. ძალიან გამეხარდა ტრევიზოში მათი ნახვა.

- როგორი იყო კემპის დღიური განრიგი?

- კემპზე დაახლოებით 50 მონაწილე ვიყავით. დილით ვარჯიში გვქონდა. სხვადასხვა კომპონენტებში გვამზადებდნენ. ვაბარებდით ნორმატივებს ხტომაში, სირბილში, დრიბლინგში... შუადღისას ვთამაშობდით, დღის ბოლოს კი იმართებოდა "ოლ სტარი", რომელშიც გამორჩეული კალათბურთელები თამაშობდნენ.

- პირველ დღეს "ოლ სტარში" რატომ არ ითამაშე?

- გადაღლილობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ "ოლ სტარში" ჩემი თამაში თავიდანვე გადაწყვეტილი იყო, ეს გარემოება გაითვალისწინეს და დავისვენე. 8 ივნისის ღამეს, ბელგიის ჩემპიონატის ფინალური მატჩი რომ ვითამაშე, სამ საათში იტალიაში გავემგზავრე. დილით ვივარჯიშე, მერე ვითამაშე და "ოლ სტარში" ნამდვილად აღარ შემეძლო გამოსვლა.

- სამაგიეროდ, მეორე დღის "ოლ სტარის" საუკეთესო მოთამაშე გახდი, შუადღის მატჩში კი მხოლოდ 4 ქულა მოაგროვე.

- დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ რამდენ ქულას მოაგროვებდა. "ოლ სტარში" იმ მოთამაშეებს იწვევდნენ, ვისი ნახვაც სკაუტებს და მწვრთნელებს განსაკუთრებით აინტერესებდათ. რაც შეეხება პირველ "ოლ სტარს", ნორმალურად ვითამაშე. ორმაგ დუბლამდე ერთი მოხსნა დამაკლდა. უკეთესადაც შემეძლო, მაგრამ...

- მესამე დღესაც "ოლ სტარში" მიგიწვიეს. ეს იმას ნიშნავს, რომ შენი თამაშის ნახვა უნდოდათ...

- ვერ ვიტყვი, კონკრეტულად ვის უნდოდა ჩემი ნახვა. მესამე დღის "ოლ სტარი" კი შემაჯამებელი მატჩი იყო, რომელსაც მთლიანად ტურნირის "ყველა ვარსკვლავის" მატჩის დატვირთვა ჰქონდა. თუმცა, ამ შეხვედრამდეც მნიშვნელოვანი მატჩი ჩავატარეთ. საქმე ის არის, რომ ტრევიზოს კემპის ისტორიაში ყველა მატჩი რამდენიმე გუნდს თუ მოუგია. ამიტომ ჩვენს მწვრთნელს და ჩვენც, მოთამაშეებს, გამარჯვება გვინდოდა. საბედნიეროდ, მოვიგეთ და ტურნირი მაქსიმალური შედეგით დავასრულეთ.

- კემპის შემაჯამებელ "ოლ სტარშიც" ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყავი...

- ძალიან რთული თამაში იყო. ძლიერი მეტოქე გვყავდა საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების სახით. აქაც არ დავარღვიეთ ერთგვარი ტრადიცია, რომლის თანახმად, ტურნირის "ყველა ვარსკვლავის" გუნდი არ აგებს. მართალია, მესამე მეოთხედში 15 ქულით ჩამოვრჩით, მაგრამ საბოლოოდ მაინც გავიმარჯვეთ.

თორნიკე შენგელია ტრევიზოს კემპზე

- რა გამოხმაურება მოჰყვა შენს თამაშს?

- არ ვიცი, კონკრეტულად რომელი გუნდის წარმომადგენლები დაინტერესდნენ და რას აპირებენ მომავალში. თუ დაინტერესება იქნება, კლუბები ჩემს მენეჯერებს დაუკავშირდებიან. ჯერჯერობით არ ვიცი, კონკრეტულად რომელი კლუბი დაინტერესდა.

- შენი უახლოესი გეგმები როგორია?

- მომავალ კვირაში მივემგზავრები ამერიკაში, სადაც, სავარაუდოდ, წინასადრაფტო ვარჯიშებში მივიღებ მონაწილეობას. თუმცა, როგორც გითხარით, ჯერჯერობით კონკრეტული გუნდების შესახებ არაფერი ვიცი.

- ამერიკულ ვებგვერდებზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შენი შანსები გაიზარდა. წერენ, შენგელიას დრაფტის მეორე რაუნდის დასაწყისში აირჩევენო.

- დრაფტი ისეთი რამ არის, რომ გადაჭრით ვერ იტყვი, რომელ ნომრად აგირჩევენ. ასეთი მყარი გარანტია იშვიათია.

- დრაფტზე არჩევის შემთხვევაში, მოახერხებ თუ არა შენი ამრჩევი გუნდისგან კონტრაქტი დაიმსახურო?

- ძნელია ამის თქმა. თუ დრაფტზე ამირჩევენ, ახალ გუნდთან ერთად კიდევ მომიწევს სხვადასხვა კემპზე გამოსვლა. იქ, ამერიკაში, სულ სხვა კალათბურთია. ასე რომ, ძნელი სათქმელია, რას ვიზამ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი ამრჩევი გუნდისგან კონტრაქტი დავიმსახურო.